პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 138 (9914) | შაბათი, 12 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა (მე-2 გვერდი).

ბ. ლეონტიევი. — ლენინი ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ (მე-2 გვერდი).

საგაზეთო თემაზე. — პარტიის საქალაქო კომიტეტი და გაზეთის კრიტიკული შენიშვნები (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას. — უმსგავსოება რკინიგზის ქუთაისი-ტყიბულის ხაზზე. შეუსრულებელი დაპირება. საჭიროა ყურადღება (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის სტატია ყენევის თათბირზე 1954 წლის 10 ივნისს (ბოლო გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის [illegible] ჩეხოსლოვაკიაში (მე-3 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების ყენევის თათბირი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეცხოველეობის აღმავლობის მთავარი პირობა

მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მთავარი, გადამწყვეტი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. უამისოდ შეუძლებელია მეცხოველეობის საქმის წინწაწევა.

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1954 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების დამზადების ჩატარების შესახებ“. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოადგენენ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, რომ დადგა საკვების დამზადების, საკვები ძირხვენების ნათესების, სასილოსე და სხვა საკვები კულტურების მოვლის გადამწყვეტი მომენტი. დადგენილებაში მითითებულია, რომ მხოლოდ ამ სამუშაოთა წარმატებით მოწყობა შესაძლებელს გახდის შესრულდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დაგროვებისა და გამმტუშავებულ შრომადღეებზე კოლმეურნეებისათვის საკვების მიცემის გეგმა.

ადგილებიდან მოსული ცნობები ცხადყოფენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წელს როგორც ზუნებრივი სათიბეების, ისე ნათესი ბალახების კარგი მოსავალია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ დიდი რაოდენობით დაამზადონ თივა.

რას გვიჩვენებს თიბვის პირველი შედეგები? აშკარად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. ფაქტები მოწმობენ, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია ტექნიკისა და მუშახელის უნარიანად გამოყენების საქმეში. აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებზე წელს თივის დამზადების გეგმის შესრულების დიდი შესაძლებლობა იყო. მაგრამ მოუქნელი მუშაობის შედეგად სიღნაღის, ყვარლის, თელავისა და წითელწყაროს რაიონებმა ვერ უზრუნველყოფს დავალების დროულად განაღდება, რის გამო განსაზღვრულ ფართობზე თივა გადაიწვა, რითაც შემაცირეს საკვები რესურსები საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის. პარტიამ და მთავრობამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები შეაიარაღეს თივის ასაღები, შესაგროვებელი და დასაზვინავი შესანიშნავი მანქანებით. სამწუხაროა ის, რომ აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებზე მტს-ების ტექნიკა თითქმის სანახევროდ მოცდა მუშახელის უყოლობისა და ტექნიკური და ორგანიზაციული უწესივრობის გამო. ცუდად იმუშავეს წელს აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებზე და თიბვის გეგმის შესრულება ჩამალეს თელავის, ყვარლის, ენისლის, ასურეთისა და ულიანოვკის მტს-ებმა.

ამ მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ აღნიშნული მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა. ეს გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის სხვა მტს-ების მუშაკებისათვის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და უწინარეს ყოვლისა მისი მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარი სამმართველო, რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან დროზე მიიღონ ზომები ასეთი ჩავარდნის თავიდან აცილებისათვის, თვითეულ კოლმეურნეობაში საკვების დამზადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საგანგაშოა ის გარემოებაც, რომ საკვების დამზადების დღეებში თივის ასაღები მანქანების რემონტი გაჭიანურეს დუშეთის, ბარალეთის, წალკის მტს-ებმა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სილოსის საჭრელი მანქანების სრულ წესრიგზე მოყვანის მხრივ არის ახალციხის, წალკის, წნორისა და სხვ. მტს-ებში. გასაკვირველია, რატომ ურიგდებიან ამ მდგომარეობას ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები? არის სიგნალები, რომ ლენინგორის, თიანეთის, ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები აგვიანებენ ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე საჭირო მუშახელის გაგზავნას თივის ასაღებად, მაშინ როცა ბალახი უკვე ასაღებია. დრო არ ითმენს. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ამ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

საკვების დამზადებაში წარმატებას კადრები, ადამიანები წყვეტენ. მექანიზატორებისა და კოლმეურნეების უნარიან მუშაობაზეა დამოკიდებული თიბვისა და დასილოსების გეგმის წარმატებით შესრულება.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში თივის ასაღები მანქანების რემონტის დაჩქარებით დამთავრება, მათი მთელი სიმძლავრით გამოყენება და თივის ასაღები თვითეული აგრეგატით გამომუშავების ცვლის ნორმების შესრულება.

იქ, სადაც შეუძლებელია სათიბი მანქანების გამოყენება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოაწყონ ხელით თიბვა, რათა გაუთიბავი არ დარჩეს არც ერთი ჰექტარი სათიბი. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მტს-ების დირექტორებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თივის აღებაში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება მეტმა კოლმეურნემ.

საკვების დამზადებაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა და მტს-ების მუშაკთა მატერიალური წახალისების ღონისძიებების სრულად გამოყენებას. თივის აღებისა და ნამჯის შეგროვების პერიოდში კოლმეურნეებსა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს თივის აღებასა და ნამჯის დამზადებაზე გამომუშავებულ შრომადღეებზე უნდა მიეცეთ დამზადებული, შემოსავალში გატარებული და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მიღებული თივისა და ნამჯის საერთო რაოდენობის 10 პროცენტამდე, ხოლო ბუნებრივი სათიბების მეორე თიბვისას — 20 პროცენტი; კოლმეურნეობებში, რომლებმაც შეასრულეს თივის დამზადების გეგმა, შრომადღეებზე გაიცეს გეგმის გადამეტებით დამზადებული თივის 30 პროცენტი; გარდა ამისა, საკვების დამზადების პერიოდში ყველა კოლმეურნეს წლის დამდეგიდან გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსად მიეცეს დამზადებული თივის საერთო რაოდენობის 5 პროცენტამდე და დამზადებული და დაბუნულებული ნამჯის 10 პროცენტამდე.

საკვები ბაზის განმტკიცებაში სერიოზული ღონისძიებაა სიმინდის, მზესუმზირას ნათესების, ძირხვენების, ბაღჩეული კულტურების დროზე და გულდასმით მოვლა, რათა ამ კულტურების ნათესების მთელ ფართობზე მიღებულ იქნას უხვი მოსავალი. როგორც ჩანს, ამ ჭეშმარიტებას ყველგან როდი ითვალისწინებენ. მთელ რიგ რაიონებში სასილოსე კულტურათა ნათესების დამუშავება თვითდინებაზეა მინდობილი და მცენარეებს სარეველები ჩაგრავს. ჭიანურდება საკვები ძირხვენებისა და საკვები ბაღჩეული კულტურების გაფხვიერება. ასეთი ჩამორჩენა შეუწყნარებელია. უკანასკნელად მოსულმა წვიმებმა დააჩქარა სარეველა ბალახების ზრდა. ეს მოითხოვს, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ მტს-ის დახმარებით უზრუნველყოს სასილოსე კულტურების, საკვები ძირხვენების დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავება.

ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო ადრეული სილოსის ჩადება. აუცილებელია სასილოსე კულტურებთან ერთად ფართოდ გამოვიყენოთ გარეული ბალახები. მთელ რიგ რაიონებში გვიანდება სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა და რემონტი. ბევრი მტს-ი სუსტ საწარმოო დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს ორმოებისა და ტრანშეების ამოღებაში. მაშინ როცა მტს-ებს მიწის ამოსაღები მანქანები საკმაოდ აქვთ.

მტკიცე საკვები ბაზისათვის ბრძოლა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად დასახულია მთლიანად უზრუნველყონ საკვებით პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამაზე იქნება დამოკიდებული მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების გეგმის შესრულება.

ახალი მოსავლის პური სახელმწიფოს

ურა-ტიუბე (ტაჯიკეთის სსრ). 10 ივნისი. (საკდესი). ურა-ტიუბის რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია პურის მკა. ვოროშილოვის სახელობის, ძიქოიანის სახელობის, კაგანოვიჩის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელებში მომკილია 400-500 ჰექტარი საშემოდგომო ქერი, იწყება საშემოდგომო ხორბლის მკა. რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ დაიწყო პურის ჩაბარება სახელმწიფოსათვის. პირველი რამდენიმე ასეული ცენტნერი ახალი მოსავლის პური ჩააბარა დამამზადებელ პუნქტს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

ვადამდე სრულდება დაკვეთები სოფლის მეურნეობისათვის

თბილისის ხასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის პროდუქციას კარგად იცნობენ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ დამზადებული მექანიზმები და იარაღები მოძმე რესპუბლიკებშიც იგზავნება. მიმდინარე წელს ვენახისა და ხეხილის ბაღის შესაწამლი 1.500-ზე მეტი აპარატი გაიგზავნა აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, უზბეკეთსა და სხვა რესპუბლიკებში.

საწარმოს კოლექტივმა სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური გადიდების მისაღწევად და სოფლის მეურნეობისათვის ყველა დაკვეთის ვადამდე შესასრულებლად. თავდადებული შრომით მანქანათმშენებლებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება 109 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 200.000 მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდეს 2 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

ეს წარმატებები იმით არის მიღწეული, რომ თვითეული საამქრო გამართულად, რიტმულად მუშაობს. ყველა მუშა დიდი გადაჭარბებით ანაღდებს გამომუშავების ნორმებს. განსაკუთრებით ისახელეს თავი ზეინკლებმა შ. მზარეულაშვილმა, კ. ბუბაშვილმა, ი. პავლუხინმა, ხარატმა ტ. გრიგორიანმა და სხვებმა, რომლებიც დღიურ დავალებებს 200-300 პროცენტით ასრულებენ.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წელი. განსაკუთრებით კარგი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს მეშახტეებმა აპრილში. ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება გაანაღდეს 107,2 პროცენტით, ხოლო ძირითად სამთო სამუშაოთა გეგმა 102 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება საშუალოდ თვითეულ მუშაზე გაზარდეს 18 პროცენტით, ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირეს ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

ამ დღეებში ტყიბულში მოვიდა ცნობა, რომ ამ მაჩვენებლების მიხედვით სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მას მიეკუთვნა მესამე ფულადი პრემია 28.000 მანეთის რაოდენობით.

კოლმეურნეობები იძენენ ჯიშიან პირუტყვს

ხაშური. (საკ. კორ.). უკანასკნელ ხანს რაიონის კოლმეურნეობებში სერიოზული ყურადღება ექცევა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. შარშან სოფლების გვერდისუბნისა და ცხრამუხის კოლმეურნეობებმა კრასნოდარის მხარიდან ჩამოიყვანეს ველის წითელი ჯიშის მაღალპროდუქტიული ძროხები. ისინი კარგად შეეგუენ ჟაური ჰავას და ბევრ რძეს იძლევიან.

ამ დღეებში რაიონის კოლმეურნეობებმა კრასნოდარის მხარიდან კვლავ ჩამოიყვანეს ამავე ჯიშის 73 სული მაღალპროდუქტიული ძროხა. თვითეული მათგანი დღეში 20-25 ლიტრ რძეს იძლევა.

თბილისის გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ხელს აწერენ ახალ სესხს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

★

სამხრეთ ოსეთის მშრომელები ხელს აწერენ ახალ სესხზე

სტალინირი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია სამხრეთ ოსეთის მშრომელებში. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში მოეწყო მთავრობის დადგენილებისადმი მიძღვნილი მიტინგები. სტალინირის ხე-ტყის კომბინატის მუშებმა, აღფრთოვანებით მოაწერეს რა ხელი სესხზე, ახალი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

დიდი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩაიარა სესხზე ხელმოწერამ სტალინირის ავტრის მექანიკურ და კრამიტის ქარხნებში, ქალაქის სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში.

სესხზე ერთსულოვნად აწერენ ხელს ოლქის კოლმეურნეები. სოფელ ერედვის, კეხვის, ძარწემის, ლენინგორის, შორეული მთის სოფლის უკანამხარის, დადიანეთის და სხვა კოლმეურნეობათა წევრები დიდი სიხარულით აწერენ ხელს ახალ სესხზე და ხელმოწერის თანხას ნაღდად აბარებენ.

სესხზე ხელმოწერა გადაიქცა მშრომელთა მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის მკაფიო დემონსტრაციად.

მთელი გულით

ცხაკაია. (საკ. კორ.). საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რაიონის ყველა მშრომელი დიდი აღფრთოვანებით და ერთსულოვნებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. ყველგან გაიმართა სახელდახელო კრებები, მატინგები.

ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კრებაზე კოლმეურნეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მთავრობის გადაწყვეტილებას და გამოთქვეს სურვილი, რომ სამშობლოს მისცენ თავიანთი შრომათი დანაზოგი სესხად.

ასევე მაღალი პოლიტიკური აღმავლობით ჩაიარა სესხზე ხელმოწერამ ძველი სენაკის სტალინის, ფოცხოს ორჯონიკიძის, უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. მშრომელებმა თავიანთი დანაზოგი სიხარულით მისცეს სესხად საბჭოთა სახელმწიფოს.

თიბვაში დაწინაურებულნი

ალაზნის მტს-ის მომსახურების ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის, ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებმა წარმატებით დამთავრეს თიბვა შირვანის საძოვრებზე.

ალაზნის მტს-მა შირვანის საძოვრებზე გაგზავნა კარგი და გამოცდილი მექანიზატორები ა. კოტეანიკოვი, რომელიც ყოველდღიურად 20-22 ჰექტარს თიბავდა, ვ. ხონინი და თ. სოზაშვილი. ისინი სათის აგრეგატებს შეუფერხებლად ამუშავებდნენ. მექანიზატორმა ა. კოტეანიკოვმა გათიბა 200 ჰექტარზე მეტი, ვ. ხონინმა — 230 ჰექტარი, ხოლო თ. სოზაშვილმა — 240 ჰექტარი.

საზამთრო საძოვრებზე ზვინებად დადგმულია რამდენიმე ათასი ცენტნერი თივა. ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ძირგებად დადგეს 300 ტონა თივა.

აგრონომი ა. ჭუჭულაშვილი.

ხე-ტყის მასალა სოფლისათვის

ცეკავშირის „საქტყემშენავჭრობამ“ კიროვის, მოლოტოვის, სტალინგრადის, ასტრახანის ოლქებიდან, აგრეთვე ბელორუსიის და ლიტვის სს რესპუბლიკებიდან საქართველოს კოლმეურნეობებში მეთამბაქოობისა და მეცხოველეობის ბინათმშენებლობისათვის მიმდინარე წლის 5 თვეში შემოზიდა 41.000 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, გეგმის 136 პროცენტი. ივნისში შემოტანილი იქნება კიდევ 500 ვაგონი ხე-ტყის მასალა.

წელს რესპუბლიკის საკოლმეურნეო მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და მოსახლეობისათვის ცეკავშირი შემოიტანს 150.000 კუბურ მეტრ ხე-ტყის მასალას, 3.000 კუბურ მეტრ ფანერს, 2 მილიონ ცალ ყავარს, ვენახის 300 ათას ცალ ჭიგოს. მიღებულ იქნება აგრეთვე სამ და ოთხოთახიანი 200 სტანდარტული სახლი, აქედან 30 სახლი უკვე მიეყიდა თბილისის გარეუბნის, მახარაძის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის რაიონების კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას.

პიონერთა განაკებში

გუდაუთის, ბახმაროს, მწვანე კონცხის და ფასანაურის ულამაზეს ადგილებში მოწყობილია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს პიონერთა ბანაკები. გუდაუთაში 10 ივნისიდან უკვე ისვენებს ბავშვთა პირველი ნაკადი, დანარჩენებში მიმდინარეობს უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები.

წელს ამ პიონერთა ბანაკებში დაისვენებს 780 ბავშვი, რაც ერთიორად აღემატება შარშანდელს.

6 ივნისს რკინიგზელთა ათასზე მეტმა ბავშვმა დაიწყო დასვენება ხუთ ბანაკში, რომლებიც მოწყობილია სურამში, წყალტუბოში, გუდაუთაში, მცხეთასა და წყნეთში.

კოჯორში გაიხსნა პიონერთა ბანაკი. ქობულეთში დასასვენებლად წავიდა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა ბავშვების პირველი პარტია.

ამ ზაფხულს შავი ზღვის სანაპიროზე, ბორჯომის ხეობაში, სამხრეთ ოსეთში და სხვ. იმუშავებს 100-ზე მეტი პიონერთა ბანაკი, სადაც მშრომელთა 32 ათასი ბავშვი დაისვენებს.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება

ელენე ქანთარიას შრომითი მამაცობა

კეთილმოწყობილი სასოფლო გზა მიჰყვება მთებსა და ფერდობებს. იგი ჯერ ზემო აკეთის შუაგულში გაივლის. შემდეგ მას მარჯვნივ და მარცხნივ უერთდება უფრო ვიწრო საპლანტაციო გზები. ამ გზებით შედიხართ გორაკებზე ლამაზად შეფენილ ჩაის ბუჩქებში.

რამდენი შრომა და სიხარულია ჩაქსოვილი ამ სიმშვენიერეში! რამდენად თვალწარმტაცი იგი! გაჰყურებთ „მწვანე ოქროს“ პლანტაციებს და თვალწინ წარმოგიდგებათ იშვიათი პეიზაჟი. რაც მთავარია, ამ სიმდიდრის შემქმნელნი ჩვენი ბედნიერი ქვეყნის რიგითი, უბრალო ადამიანები არიან.

მათ ჩვენს დროში შრომა სახელის, ღირსებისა და გმირობის საქმედ გადაუქცევიათ. ახლა ლანჩხუთის რაიონში ბევრი მეჩაიე ნოვატორია. ბევრი უბრალო ადამიანის კეთილშობილურ საქმიანობას საამაყო მაჩვენებლები ამკობს. მათ შორის არიან ისეთები, რომლებსაც წლების განმავლობაში პრაქტიკული დაკვირვებით შეუმუშავებიათ ჩაის მოსავლიანობის გადიდების მეთოდები.

ასეთ ადამიანებს ეკუთვნის ზემო აკეთის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის პირველი რგოლის წევრი ელენე ქანთარია.

— ელენეს ჩაის პლანტაცია, — გვეუბნება თანამგზავრი, — ფიჩხაველის ფართობზეა. საამაყოა მისი მუშაობის შედეგები.

ფიჩხაველის პლანტაციაში ვართ. სამხრეთისაკენ ოდნავ დაქანებულ ფერდობზე შორიდანაც კი გამოირჩევა მაღალტანიანი, მსხვილი და თითქმის ყველა თანაბრად, ძლიერად განვითარებული ბუჩქები, რომლებიც ადამიანს მკერდამდე სწვდება. ამ მშვენიერი ბუჩქების მწკრივში იდგა ელენე ქანთარია და მანქანის სისწრაფით ამოძრავებდა თითებს.

ჩვენ დაგვაინტერესა მის მიერ მოვლილმა ნახევარმა ჰექტარმა ჩაის საუცხოო პლანტაციამ, მოპოვებულმა წარმატებებმა, მუშაობის ხერხებმა. ამის შესახებ ელენე ქანთარიამ მოგვითხრა:

— თუ მონდომება და მისწრაფება გაქვს, დასახულ მიზანს მიაღწევ. 1940 წლიდან კარგად დავეუფლე ჩაის ფოთლის კრეფის წესებს.

განსაკუთრებით გულმოდგინედ ვშრომობდი დიდი სამამულო ომის დღეებში. ჩემი მეუღლე ამ ომში დაიღუპა.

ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკული დაკვირვებით დიდი გამოცდილება შევიძინე. თვითეული ბუჩქი ყოველმხრივ მაქვს შესწავლილი. ვიცი, რას მოითხოვს, რა დროს და რა პირობებში შეიძლება მოგვცეს უხვი მოსავალი. არ ვაკლებ მოვლას. დავწმუნდი, რომ ჩაის ბუჩქების ჯიშობრივი სხვადასხვაობა იწვევს ცალკეული მცენარეების მეტნაკლებად განვითარებას, ფოთლის არათანაბრად შემოსვლას. ძვირფასი ჩაის ბუჩქები კარგად მოვლილ ჩაის პლანტაციებშია. მცენარე მით უფრო კარგია, რაც უფრო მეტ ტანინს და ექსტრაქტულ ნივთიერებებს შეიცავს.

ე. ქანთარია.

— თქვენც ხედავთ, — განაგრძო ელენემ, — თუ რაგორ განვითარებულა ნახევარი ჰექტარი პლანტაცია, რომელსაც მე ვუვლი. იგი ძლიერია და უხვ მოსავლსაც მაძლევს. აი შეხედეთ ბუჩქებს. ფოთოლი ფართო, ნაზი და მსხვილია. უწინარეს ყოვლისა მოვახდინე მცენარეთა შერჩევა. პლანტაციას მოვაცილე დაავადებული, დაზიანებული და ზრდაში ჩამორჩენილი ბუჩქები, მოვსპე სიმეჩხრე, შემდეგ დავტოვე ზრდისა და დატოტვის მიხედვით უკეთესი, ღონიერი ბუჩქები. ეს ჯიშობრივი შერჩევისათვის პირველად გადადგმული ნაბიჯი იყო.

მთავარ ყურადღებას ვაქცევ მოვლას, ნიადაგის დამუშავებას, სასუქების შეტანას აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში. მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის მზადებას კრეფის სეზონის დამთავრებისთანავე ვიწყებ. დაგეგმილი მაქვს, როდის რა სამუშაო შევასრულო. პლანტაციაში კრეფას ვამთავრებ სექტემბრის ბოლოსათვის. შემდეგ კვრეფ ლაო ჩაის, ნოემბერში ვაგროვებ ჩაის თესლს. შემოდგომაზე ბარვის წინ სასუქს თანაბრად ვანაწილებ მიწის ზედაპირზე და შემდეგ ნიადაგს ვბარავ 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე. არც ერთ ღერ სარეველა ბალახს არ ვტოვებ. ადრე გაზაფხულზე მოკლე დროში ვამთავრებ ბუჩქების გასხვლასა და გამოწმენდას. თვითეულ ბუჩქს ვსხლავ ინდივიდუალური მიდგომით, რათა კრონა თანაბარი, ნორმალური სიმაღლისა და განიერი გამოვიდეს. ვსხლავ არა მარტო ბუჩქის თავს, არამედ მის გვერდებსაც. გვერდებზე დაფენილ ტოტებს ვაჭრი. ვაცლი გამხმარ, დაზიანებულ ნაწილებს. ყოველთვის ვინარჩუნებ ბუჩქის სიმაღლეს 50-70 სანტიმეტრამდე. გასხვლის დამთავრებისთანავე სათანადო დოზით შემაქვს აზოტოვანი სასუქი, რომელსაც ნიადაგში ჩავთოხნი დაახლოებით 7 სანტიმეტრ სიღრმეზე. შემდეგი დოზები შემაქვს დროულად, აგროწესების დაცვით.

ჩაის ბუჩქი სათუთი მცენარეა. პლანტაციების სამუშაოები მეტად შრომატევადია, განუწყვეტელ, ყოველდღიურ ზრუნვას მოითხოვს. ყოველთვის თავს უნდა დასტრიალებდე ბუჩქს, რომ იგი მუდამ საღი, ღონიერი და უხვმოსავლიანი იყოს. არ შევაჩერებ ყურადღებას სხვა ღონისძიებებზე, როგორიც არის წუწწუხით მორწყვა, ფრინველის ნაკელით, ნაცრით გაპატივება, ტორფის შეტანა და სხვ. ასეთი მოვლის შედეგად პლანტაცია ძლიერი და თანაბრად განვითარებულია.

დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განახორციელო მსუბუქი გახსვლა. ასეც ვქ

. ასეთი მოვლით ბუჩქზე განუწყვეტლივ შემოდის ფოთოლი.

ამიტომ მიხდება პლანტაციაში ყოველდღიური დაძაბული შრომა. უხვად შემოსულ ჩაის ფოთოლს განუწყვეტლივ კრეფ. ამ პერიოდში ჩემი სამუშაო დღე გათენებიდან დაღამებამდეა, როგორი ამინდიც უნდა იყოს. მწკრივში ფოთოლს კრეფ ორივე ხელით, თითები ისე მიჩვეულია ამ საქმეს, რომ სწრაფად იპოვნის დუყს. ვიღებ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ცოტა სიჩუმის შემდეგ განაგრძო: ხუთი წელიწადია „გადავუხვიე“ აგროწესებში გათვალისწინებულ კრეფის ზოგიერთ წესს. პრაქტიკულმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ძლიერი განვითარების პლანტაციაში (ასეთია ჩვენი პლანტაცია) სავსებით შესაძლებელია ვაწარმოოთ გაძლიერებული კრეფა. პირველად, შერჩევითი კრეფის დროს ნეკზე ვტოვებ ერთ ნორმალურ ფოთოლს ნაცვლად აგროწესით გათვალისწინებული ორი ფოთოლისა. შემდეგ მეორე კრეფის დროს ვიღებ დუყებს ისე, რომ ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი. კრეფის ამ წესს ვახორციელებ სეზონის დამთავრებამდე. ამ ხერხით კრეფის შედეგად პლანტაციაში ყოველთვის არის საკრეფი ჩაის ფოთოლი. მან „დასვენება“ არ იცის.

ჩემი დაკვირვებით ასეთი წესით კრეფის შედეგად უფრო სწრაფად შემოდის ფოთოლი საკრეფად და ამონაყარიც მეტია. წელს ვალდებულებას ვკისრულობ ცხრა ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მივიღო და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ სოფელ მამათის კოლმეურნეობის ცნობილ მეჩაიეს სოციალისტური შრომის გმირს შუშანა დარჩიას...

იმ საღამოს პარტიის რაიკომში აკეთიდან ტელეფონით გადმოსცეს, რომ ელენემ ნახევარ დღეში 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ახლა იგი ყოველდღიურად საშუალოდ 100-150 კილოგრამს კრეფს.

ჩვენს ჩაის პლანტაციებში უფრო გამრავლდებიან ელენეს მიმდევრები, რომლებიც ახალი წარმატებებით ასახელებენ საყვარელ დედა-სამშობლოს.

ნ. ჯანჯღავა.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა

პროფკავშირთა XI ყრილობის 10 ივნისის დილის სხდომაზე საკავშირო პროფსაბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში პირველი გამოვიდა მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ტ. ბაბაიანცი.** მან აღნიშნა, რომ მანქანათმშენებელი საწარმოები ამზადებენ 2.500-ზე მეტი სახელწოდების მანქანებს, ხელსაწყოებსა და ჩარხებს. სოფლის მეურნეობამ უკანასკნელი წლების მანძილზე მანქანათმშენებლებისაგან მიიღო 9,5 მილიონზე მეტი სხვადასხვა მანქანა, მათ შორის 500 ათასი ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, 200 ათასამდე კომბაინი.

ამხ. ბაბაიანცი აკრიტიკებს საკავშირო პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი განყოფილებისა და მისი გამგის ამხ. რეანოვის მუშაობას. განყოფილება უზომოდ ბევრ მიმოწერას აწარმოებს საქარხნო კომიტეტებთან მათი კულტინვენტარითა და მოწყობილობით მომარაგების საკითხებზე.

საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ი. ზალუკინი** ამბობს, რომ ბევრ პროფკავშირულ ორგანიზაციას არ აინტერესებს ახალგაზრდა მუშათა შეჯიბრება. ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას. სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო და სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი ნაკლებად ზრუნავენ ხაბაროვსკის მხარის თევზის ქარხნების მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საყადალების მშენებლობისათვის.

ნავთობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. დ. ახუნდოვმა** აღნიშნა ჩვენი ქვეყნის მენავთობეთა შრომითი წარმატებანი, ნავთობის ამოღების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, მოიყვანა მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ სახელმწიფოს უდიდეს ზრუნვას მენავთობეებისათვის. მარტო ნამსახურობისათვის შარშან მენავთობეებს მიეცათ ჯილდო 314 მილიონზე მეტი მანეთის რაოდენობათ.

ჩვენი პროფკავშირის ბევრი კონფერენციისა და ყრილობის დელეგატებმა, აღნიშნავს ამხ. ახუნდოვი, სამართლიანად გააკრიტიკეს საკავშირო პროფსაბჭოს მუშაკები, რომლებიც მიგლინებების დროს პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ მენავთობეებს ადგილზე, თავიანთ მუშაობას ფარგლავენ ცნობების შეგროვებით. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე პროფკავშირის ყრილობათა მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია საკავშირო პროფსაბჭოს არც ერთ მდივანს. ამხ. ახუნდოვი აკრიტიკებს აგრეთვე გაზეთ „ტრუდს“, რომელიც საკმაოდ არ ავრცელებს ნოვატორ მენავთობეთა მუშაობის მოწინავე მეთოდებს.

ტრიბუნაზეა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე **ჰერბერტ ვარნკე.** იგი ლაპარაკობს, თუ როგორ იბრძვიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები სოციალიზმის საფუძველთა აშენებისათვის. ჩვენს მთავარ ამოცანად მიგვაჩნია, განაცხადა მან, გერმანიის მთელი მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის შექმნა. ეს მოქმედების ერთიანობა უკვე ხორციელდება.

ჩვენი დელეგაცია, რომელიც ყრილობას ესწრება, შედგება დასავლეთ გერმანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებისაგან. ეს არის მთელი გერმანიის დელეგაცია. როგორც ჩვენი დელეგაცია, ისე მთელი გერმანიის მუშათა კლასი გაერთიანდება, იგი იქნება გაერთიანებული მუშათა კლასი ერთიან და დემოკრატიულ გერმანიაში, ისეთ გერმანიაში, რომელიც მშვიდობითა და მეგობრობით იცხოვრებს თქვენთან და მსოფლიოს ყველა ხალხთან.

დელეგატები და სტუმრები ამ სიტყვებს ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

სიტყვას ამბობს ყირგიზეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **მ. დოგდუროვი.** იგი ამბობს, რომ ნაკლოვანებანი, რომლებიც საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, ყირგიზეთის სსრ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაშიც არის. პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საოლქო საბჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები ჯერ კიდევ სუსტად ეწევიან საწარმოო-მასობრივ მუშაობას, საკმაოდ არ ეხმარებიან ჩამორჩენილ საწარმოებს, არადამაკმაყოფილებლად სწავლობენ და ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნო, რომელიც იღებდა მრავალ დადგენილებას, თქვა ამხ. დოგდუროვმა, ყოველთვის როდი უზრუნველყოფდა მათ შესრულებას.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბრაზილიის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარემ **რამირო ლუჩესიმ.** ეს ყრილობა, თქვა მან, კიდევ უფრო გაამდიდრებს საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის გამოცდილებას. იგი ხელს შეუწყობს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებას, გაუძლიერებს მათ იმის რწმენას, რომ წარმატება ექნება ბრძოლას კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის.

ალბანეთის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის სახელით ყრილობას გულითადი სალამი გადასცა ალბანეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **პილო პირისტერიმ.** ალბანელი ხალხი, განაცხადა მან, ყოველთვის საბჭოთა კავშირთან ერთად იღლის მშვიდობისა და სოციალიზმის გზაზე.

ყუიბიშევჰიდრომშენის ექსკავატორის წარჩინებულმა მემანქანემ ამხ. **მ. ი. ევეცმა** ილაპარაკა იმ გრანდიოზულ სამუშაოებზე, რომლებიც წარმოებს დიდ რუსულ მდინარეზე, ქველ ჟიგულთან. მშენებლებმა შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს. ახლა ჰიდროკვანძის ნაგებობაში ასხამენ 10 ათასამდე კუბურ მეტრ ბეტონს დღეღამეში. უახლოეს ორ-სამ თვეში ბეტონის ჩასხმა დღეღამეში 18 ათას კუბურ მეტრამდე გადიდდება.

ჰიდრომშენებელთა შრომას, განაცხადა ამხ. ევეცმა, ძალიან დიდად ანაზღაურებენ. მათ შესაძლებლობა აქვთ იყიდონ რადიომიმღებები, საათები, მოტოციკლეტები, მსუბუქი ავტომანქანები. მაგრამ ამ საქონელზე მოთხოვნას საკავშირო ქსელი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს.

წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების გამოყენებას შესახებ ილაპარაკა ნოვოსიბირსკის № 1 აგურის ქარხნის მშრომელმა **ვ. ა. კისლიცინამ.**

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი, აღნიშნავს ამხ. კისლიცინა, აფერხებს მუშათა წინადადებების დანერგვას. ისინი ასე მსჯელობენ: „გეგმა დიდია, ხოლო თქვენი წინადადებით მას კიდევ უფრო გაადიდებენ. ვაი თუ ვერ შევასრულოთ“. უნდა ვებრძოლოთ ასეთ განწყობილებებს.

სიტყვა ეძლევა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს **ლხამენერენგინ ნოროვსამბს.** იგი გულითადად მიესალმა საბჭოთა ხალხს და მონღოლეთის მშრომელთა სახელით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სახელით ყრილობას გადასცა წითელი დროშა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის მისასალმებლად მოვიდა ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დელეგაცია. ყრილობა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება დედაქალაქის მუშათა კლასისა და სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის მოსკოვ—დამხარისხებელი დეპოს მემანქანემ რკინიგზის ტრანსპორტის ნოვატორმა **ვ. გ. ბლაჟენოვმა.**

ყრილობის დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ ავრეთვე კომუნალური მეურნეობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **კ. ბ. ემელიანოვა,** სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის სარატოვის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **ო. მ. ლინიაევა,** სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **მ. დ. კოვრიგინა.**

ყრილობის 10 ივნისის საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა რუსეთის სფსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ი. გრიგოკინი.** მან ილაპარაკა პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე ბავშვებთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა **ნ. კ. ბაიბაკოვმა** თავის სიტყვაში დიდი ყურადღება მიაქცია მუშების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

ყრილობას მიესალმა ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების გენერალური მდივანი **ოლავი ლინდბლუმი.** იგი ლაპარაკობს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციების ურთიერთობის განმტკიცებაზე და საბჭოთა ადამიანებს უსურვებს ახალ წარმატებებს შრომაში.

ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის“ მილსადენი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა **ი. ა. ალექსანდროვმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აღწევენ საწარმოს მუშები წარმატებას სოციალისტურ შეჯიბრებაში. გასული წლის მეოთხე კვარტალსა და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქარხანას პირველი ადგილი მიეკუთვნა შეჯიბრებაში. ქარხნის კოლექტივს ის აღელვებს, რომ ჯერ კიდევ დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგი. დარწმუნდა რა, რომ ამის მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდა მუშები ტექნიკურ ცოდნას სისტემატურად არ იმაღლებენ, საერთო-საქარხნო კრებამ გადაწყვიტა უკვე წელს ყველა სახეობის სწავლაში ჩაებას მუშათა სულ ცოტა 50 პროცენტი, ხოლო ძირითად საამქროებში — ყველა მუშა.

გამოდის ვიეტნამის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მუდმივი კომიტეტის წევრი **ვო ხუ ტინი.** იგი პროფკავშირთა XI ყრილობას გადასცემს ვიეტნამელ მშრომელთა მხურვალე მილოცვას. თქვენი წარმატებებით აღფრთოვანებულნ, ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, ამბობს იგი, მოვიაროთ გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მძიმე ბრძოლაში.

სვერდლოვსკის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **პ. ე. ბარმასოვი** ლაპარაკობს თაოსნობაზე, რომელიც ოლქის საწარმოებში გამოიჩინეს. მეტალურგთა შორის გაჩაღდა შეჯიბრება ბრძმედებისა და მარტენის ღუმელებას უკეთ გამოყენებისათვის, საგლინავი დგარების წარმადობის გადიდებისათვის. საშუალოდ ოლქში შარშან საგლინავი დგარების წარმადობა გადიდდა 18 პროცენტით, ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი გადიდდა 30 პროცენტით, გაძლიერდა ფოლადდნობის სიჩქარე.

შემდეგ ორატორი ამბობს, რომ ოლქის ბევრი საწარმო მუშაობს ნახტომებით, უთანაბრად უშვებს პროდუქციას. მანქანათმშენებელი ქარხნების უმეტესობა პირველ დეკადაში თვიურ პროგრამას ასრულებს 8-12 პროცენტით, მეორე დეკადაში — 12-22 პროცენტით და მესამეში — 56-60 პროცენტით. ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის გამოცდილებამ კი დაგვანახვა, რომ რიტმული მუშაობა სავსებით შესაძლებელია. პროფკავშირული ორგანიზაციები ზრუნავენ იმისათვის, რომ ყოველი საწარმო პროდუქციას თანაბრად უშვებდეს.

სიტყვა ეძლევა კუბის მშრომელთა კონფედერაციის გენერალურ მდივანს **ლასარო პენიას.** იგი ყრილობას გადასცემს კუბის მშრომელთა სალამს, ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ისინი თავიანთი უფლებებისათვის, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ტრიბუნაზეა ჩილის მშრომელთა ერთიანი პროფკავშირული ცენტრის გენერალური მდივანი **ბაუდილიო კასანუევა.** იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ჩილელი მუშები, მოსამსახურეები და გლეხები პროფკავშირული უფლებებისათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისა და თავიანთი საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილე **ა. ს. კუზმინჩი** და საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი **თ. ვ. კარცევი.**

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

საგაზეთო თემაზე

პარიზის საქალაქო კომიტეტის გაზეთის კრიტიკულ-ბოლშევიკურ შენიშვნებთან

საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ ა. წ. 13 ივნისის ნომერში, რომელშიც გამოქვეყნდა წერილი სათაურით „საავტომტრანსის“ ქუთაისის კანტორაში წესრიგი უნდა დამყარდეს“, მკითხველთა ყურადღება მიიქცია. წერილში გაკრიტიკებული იყო კანტორის უხეირო მუშაობა, ამ დაწესებულების ხელმძღვანელების, მათ შორის კანტორის უფროსის ი. ფურცხვანიძის უყაირათობა.

გაზეთის ამ სიგნალს შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა „საავტომტრანსის“ ქუთაისის კანტორის მუშაობის საკითხი. ბიურომ კანტორის უფროსი ი. ფურცხვანიძე, რომელმაც თავი ვერ გაართვა სამუშაოს, გაათავისუფლა თანამდებობიდან, სასჯელი დაედო კანტორის ზოგიერთ სხვა მუშაკს. საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შედეგად „საავტომტრანსის“ ქუთაისის კანტორამ მუშაობა გააუმჯობესა.

რედაქცია, რომელიც პარტიის ქალაქკომის ყურადღებით სარგებლობს, ხშირად ბეჭდავს კრიტიკულ, საქმიან წერილებს ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშაობაზე. მკითხველები კმაყოფილებით შეხვდნენ გაზეთში მოთავსებულ წერილს „ჩინოვნიკები საარქიტექტორო სამმართველოდან“. წერილი შეეხებოდა ამ სამმართველოში გამეფებულ ბიუროკრატიზმს, ადამიანებისადმი უსულგულო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს, განცხადებებისა და საჩივრებისადმი უყურადღებობას.

დაიბეჭდა თუ არა გაზეთში აღნაშნული წერილი, გამოიყო კომისია პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის თ. გვანცელაძის თავმჯდომარეობით. კომისიამ ძირფესვიანად შეისწავლა საარქიტექტურო სამმართველოს საქმიანობა. ეს საკითხი განხილულ იქნა საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის თანამდებობიდან მოიხსნა მიწათმომწყობი სექტორის უფროსი გ. ასათიანი, ხოლო სამმართველოს სხვა მუშაკებს სხვადასხვა სასჯელი დაედოთ.

პარტიის საქალაქო კომიტეტი გაზეთში მოთავსებულ ყველა კრიტიკულ შენიშვნას ეხმაურება. 23 მარტის ნომერში გამოქვეყნდა საავტომობილო ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი კონტროლიორის დ. აგიაშვილის წერილი „რაციონალიზატორულ წინადადებებს უსულგულოდ ეკიდებიან“. ამ წერილის მიხედვით საქალაქო კომიტეტმა სპეციალურად შეისწავლა ავტომქარხანაში რაციონალიზატორებთან მუშაობის მდგომარეობა.

საქალაქო კომიტეტმა მაისის პირველ რიცხვებში აღნაშნულ საკითხზე თათბირი გაართა და დასახა საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

„სტალინელი“ არც ისე ეშვიათად აქვეყნებს რეცენზიებს ახალი კინოფილმებისა და თეატრალური დადგმების შესახებ. 11 მაისის ნომერში დაიბეჭდა ა. ბიბიჩაძისა და დ. ბრეგაძის რეცენზია მესხეთშვილის სახელობის თეატრის მორიგი პრემიერის „ქალიშვილი ზღვისპირას“ შესახებ. წერილში სამართლიანად არის გაკრიტიკებული პიესის ავტორი ვ. პატარაია, რომელმაც მდარედ, ტენდენციურულად ასახა ხალხთა დიადი მეგობრობის თემა. საქალაქო კომიტეტში განიხილეს რეცენზია, სამართლიანად ცნეს იგი და გადაწყვიტეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინაშე დააყენონ საკითხი, რომ ავტორმა ძირფესვიანად გადააკეთოს პიესა.

ამას წინათ საქალაქო კომიტეტმა განიხილა გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის მუშაობის საკითხი. ბიურომ რედაქციას დაავალა გაზეთის ფურცლებზე უფრო მეტი ადგილი დაუთმოს კრიტიკულ შენიშვნებს, ამასთან სერიოზულად გააფრთხილა ის ორგანიზაციები, რომლებიც პრესის სიგნალებისადმი უყურადღებობას იჩენენ. კერძოდ, ბიურომ მითითება მისცა საავტომობილო ქარხნის, „ქუთაისავაგონის“ და სასადილოების ტრესტის ხელმძღვანელებს, რომლებიც დროულად არ ეხმაურებიან გაზეთის კრიტიკას.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი მომავალში მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს, მხარი დაუჭიროს თავისი ორგანოს საქმიან გამოსვლებს და მიაღწიოს იმას, რომ სწრაფად სწორდებოდეს მხილებული ნაკლოვანებანი.

გ. მეფისაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აგიტატორთა სკოლები

ხაშური. (საკ. კორ.). პარტიის ხაშურის რაიკომის ბიუროს დადგენილებით გომის მტს-ისა და სოფელ ცხრამუხის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებთან შეიქმნა აგიტატორთა სკოლები 48-საათიანი პროგრამითა და სამი თვის სწავლების ვადით. აგიტატორთა სკოლებში შეისწავლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას და მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს.

აგიტატორთა სკოლების ლექტორებად დამტკიცებული არიან პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ლ. კაკიაშვილი, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე შ. ხვედელაძე, პარტიული ბიბლიოთეკის გამგე ვ. ბლუაშვილი და სხვები.

ლენინი ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს გენერალურმა შემქმნელმა ვ. ი. ლენინმა მრავალი წლით ადრე განსაზღვრა სოციალისტური საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც მუდამ ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. მშვიდობის უცვლელმა და აქტიურმა პოლიტიკამ, იმპერიალისტურ დაპყრობათა და ერთა ჩაგვრის წინააღმდეგ გადამწყვეტმა ბრძოლამ, ყველა დიდი და პატარა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვამ საბჭოთა კავშირი კაცობრიობის ჩირაღდანი, საყოველთაო მშვიდობის ბურჯი, პროგრესისა და სამართლიანობის მედროშე გახადა.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ლენინის იმ მითითებებს, რომ შესაძლებელია საბჭოთა სახელმწიფოს და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა. „არსებობს, — აღნიშნავდა ლენინი, — უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილებაა, ეს ძალა—საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დაადგნენ ჩვენთან კავშირურთიერთობის ამ გზას“ (თხზ., ტ. 33, გვ. 170). ეს განჭვრეტა ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლის დროს დაადასტურა პრაქტიკამ. დამარცხდნენ რა თავიანთ ცდებში — იარაღის ძალით მოესპოთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა დაიწყეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკასთან ეკონომიური ურთიერთობის გზებისა და ხერხების ძებნა.

ცნობილია ვ. ი. ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა დაამყაროს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან.

ეკონომიური ურთიერთობით, ვაჭრობით ურთიერთდაინტერესებას შემდგომ წლებში მოჰყვა საბჭოთა კავშირთან მეტი წილი კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაცია. 20-იან და 30-იან წლებში შესყიდვები საზღვარგარეთ არსებითს როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის იმ გეგმების შესრულებაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა. ამავე დროს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა სსრ კავშირთან სავაჭრო ურთიერთობაში ჰპოვეს იმ მძიმე ეკონომიური კრიზისის შენელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება, რომელიც ამ პერიოდში მთელ კაპიტალისტურ სამყაროს არყევდა. ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც კრიზისი ყველაზე მწვავე და ხანგრძლივი იყო, ხალისით ასრულებდნენ საბჭოთა კავშირის დიდ დაკვეთებს სხვადასხვა მანქანებსა და მოწყობილობებზე.

ამრიგად, ცხოვრებამ დაადასტურა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოების — სოციალისტური საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების თანამშრომლობა. ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო დამაჯერებლად დაადასტურა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის მოვლენებმა, როცა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს საბჭოთა კავშირთან ჰქონდათ კავშირი. მათ ჰქონდათ საერთო ინტერესები და ამან უზრუნველყო მათი უაღრესად მჭიდრო და მეგობრული თანამშრომლობა.

მაგრამ თუ ასეთი თანამშრომლობა იყო ომის წლებში, ამ თანამშრომლობას მით უფრო შეუძლია საერთო საგებლობა მოგვიტანოს მშვიდობიან პირობებში. საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში ომის შემდეგ გამოთქვა ი. ბ. სტალინმა ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწესთან გ. სტასენთან თავის ცნობილ საუბარში, რომელიც გაიმართა 1947 წლის აპრილში.

„აზრი ორი სისტემის თანამშრომლობის შესახებ პირველად ლენინმა გამოთქვა. ლენინი ჩვენი მასწავლებელია, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — ხოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ლენინის მოწაფეები ვართ. ჩვენ არასოდეს არ გადაგვიხვევია და არც გადავუხვევთ ლენინის მითითებებს“.

ლენინის მითითებანი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ორი სისტემის თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება, საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის მთელ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება.

* * *

კაცობრიობა ახალ პირობებში ცხოვრობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. განმტკიცდა და გაფართოვდა სოციალიზმის ბანაკი. კაპიტალისტურ სისტემას ჩამოშორდა ბევრი ქვეყანა, შეიქმნა მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

ომისშემდგომმა წლებმა ცხადყო, რომ კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციონერ სახელმწიფო მოღვაწეთა უარი იმაზე, რომ ნორმალური საქმიანი ურთიერთობა იქონიონ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს კაპიტალისტურ სისტემას. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის „ბოიკოტისა“ და ეკონომიური ბლოკადის ცდებმა მხოლოდ დააჩქარა შექმნა დემოკრატიული მსოფლიო ბაზრისა, რომელიც ახლა მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის გვერდით არსებობს. სსრ კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მჭიდრო, მეგობრულმა თანამშრომლობამ, მათმა ურთიერთდახმარებამ, რომლის მიზანია საერთო აღმავლობის მიღწევა, უდიდესი წარმატებანი გამოიწვია. საკმარისია ითქვას, რომ ახლა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ოთხჯერ აღემატება ომამდელ დონეს, ამასთან ამ ბრუნვის ორი მესამედი მოდის დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობაზე. ახლა არა მარტო სსრ კავშირს, არამედ სახალხო დემოკრატიის ბევრ ევროპულ ქვეყანასაც, ოლონდ ამ ბოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — ხოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ლენინის მოწაფეები ვართ. ჩვენ არასოდეს არ გადაგვიხვევია და არც გადავუხვევთ ლენინის მითითებებს“.

ლენინის მითითებანი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ორი სისტემის თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება, საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის მთელ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება.

* * *

ომამდელ პერიოდში, ანუ ომამდე, ორ სისტემას — სოციალისტურ და კაპიტალისტურ — ერთ-ერთ ასეთ ფუძეზე, ანუ ერთ-ერთ ასეთ ბაზისზე, ანუ ერთ-ერთ ასეთ ეკონომიურ ბაზისზე, ანუ ეკონომიურ ბაზისზე, ანუ ეკონომიურ ბაზისზე, ანუ

წერილები რედაქციას

უმსგავსოება რკინიგზის ქუთაისი-ყიბულის ხაზზე

რკინიგზის ქუთაისი-ტყიბულის ხაზზე ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაუარესდა მგზავრთა მომსახურება. სამი ვაგონისაგან შემდგარი სახალხო მატარებელი, განსაკუთრებით გამოსასვლელ დღეებში, ვერ აკმაყოფილებს მგზავრთა მოთხოვნილებას. საბილეთო სალაროებს არა აქვთ ბილეთების გაყიდვის დაწესებული ნორმა. ამიტომ ხშირად მატარებელში ორჯერ იმაზე მეტი მგზავრი ჯდება, ვიდრე ტექნიკური ექსპლოატაციის წესები ითვალისწინებენ. გადატვირთვის გამო მგზავრებს ვაგონების ბაქნებზე და კიბეებზე უხდებათ დგომა, რაც მომსახურე პერსონალს უძნელებს მუშაობას, იწვევს უწესრიგობას, მატარებლის დაგვიანებას. მაგალითად, მიმდინარე წლის 18 აპრილს № 227 სახალხო მატარებელი რკინიგზის ქუთაისის სადგურზე ისე გადაიტვირთა, რომ მის წაყვანაზე უარი თქვა უფროსმა კონდუქტორმა ვ. გიორგაძემ. მაგრამ სადგურის ხელმძღვანელობამ ვ. გიორგაძე აიძულა მატარებელი წაეყვანა, რასაც შედეგად მოჰყვა მატარებლიდან ორი მგზავრის ჩამოვარდნა და დაშავება. აღსანიშნავია, რომ მატარებელს არცერთი გამცილებელი არ გაჰყოლია. მატარებელმა ორ საათზე მეტი დაიგვიანა.

ამ უმსგავსოებაში უშუალოდ ბრალი მიუძღვის ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და მისი სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელებს, რომლებიც სამგზავრო მატარებლებიდან თვითნებურად ხსნიან ვაგონებს და მათ არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, მიმდინარე წლის 16 აპრილს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილის შ. თაყაძის განკარგულებით სამგზავრო მატარებელს ახსნეს ვაგონი და გადააკეთეს მუშათა საცხოვრებლად.

ადგილი აქვს უბილეთოდ მგზავრობის შემთხვევებს, მატარებლით შინაური ფრინველებისა და ცხოველების გადაყვანას. 25 აპრილს რკინიგზის ქუთაისი-ტყიბულის ხაზზე უბილეთოდ იმგზავრეს ი. ბრელიძემ, ვ. გვენეტაძემ, კ. არობელიძემ და სხვებმა. გელათის კოლმეურნეობის წევრმა ბ. დოღონაძემ ქუთაისიდან გელათში მატარებლით წაიყვანა თხა და თანაც უბილეთოდ იმგზავრა.

რკინიგზის ტყიბულის სადგურის საბილეთო სალაროსთან დიდი ხანია არ არსებობს ბილეთების სატარიფო ცხრილი. ამით სარგებლობს ზოგიერთი მოლარე და ხშირად მგზავრებს ზედმეტს ახდევინებს: 25 აპრილს ტყიბულის სადგურის საბილეთო სალაროს მოლარემ ე. კეკელიძემ მოქალაქე ჯ. ობოლაძეს ორ ბილეთში 8 მანეთი გადაახდევინა, ნაცვლად 7 მანეთისა და 40 კაპიკისა.

მგზავრთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ ვაგონები ხშირად დანაგვიანებულია, არ არის განათება. გელათში, კურსებში, დაბაძველში ბაქნები კეთილმოუწყობელია, არ არის წვიმისაგან თავშესაფარი ფარდულები.

მიუხედავად მრავალი სიგნალისა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელები ანგარიშს არ უწევენ მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო უმსგავსოებას რკინიგზის ქუთაის-ტყიბულის ხაზზე, შეიქმნას პირობები მშრომელთა ნორმალური მგზავრობისათვის.

ვ. ბასილაძე.

შეუსრულებელი დაპირება

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს სასადილო (გამგე ს. ქელეხსაევი) მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. სასადილოში საკმაო რაოდენობით არა აქვთ სკამები, კოვზები და სხვა ინვენტარი. ამ მიზეზით მეტალურგებს საადილობისას ზედმეტად ეკარგებათ დიდძალი დრო, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს მათს შრომითს წარმატებებზე. ამასთან აქ ხშირად ერთფეროვანი და დაბალხარისხოვანი კერძები მზადდება, განსაკუთრებით ღამის ცვლაში მომუშავე მეტალურგებისათვის.

იმის მიუხედავად, რომ ქარხანას საკუთარი დამხმარე მეურნეობა აქვს, მარტენის საამქროს სასადილო ცუდად მარაგდება ბოსტნეულით. მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებში „რუსთავსაჭრობის“ ბოსტნეულის ბაზიდან სასადილოს მიუტანეს ათობით კილოგრამი მწვანე ხახვი, რომელსაც თავები ჰქონდა დაჭრილი.

ქარხნის მარტენის საამქროსა და „რუსთავსაჭრობის“ ხელმძღვანელები დაუსრულებლად გვპირდებიან აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ დაპირება დაპირებადვე რჩება.

მეტალურგთა სამართლიანი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

ლ. ადეიშვილი,
ვ. ცირამავა.

საჭიროა ყურადღება

ვერის ბაზრიდან საბურთალოს ბაზრამდე არაერთი საცხოვრებელი სახლი და დაწესებულება აშენებულ იმ უბანს, რომელიც ახლო წარსულში მიყრუებულ და დაჭაობებულ ადგილს წარმოადგენდა. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ ასბინიანი საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანთან, საქნავთის ტრესტის ადმინისტრაციული სახლი, რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი, მეტალურგიული ტექნიკუმი, საქნავთის სამოცდაათბინიანი საცხოვრებელი სახლი და სხვ. მაგრამ ეს უბანი მაინც არ არის მთლიანად კეთილმოწყობილი.

მაგალითად, აქ დღემდე არ არის მოწყობილი სასადილო, საპარიკმახერო, კინოთეატრი, ბოსტნეულის მაღაზია.

საჭიროა ამ საკითხით დაინტერესდეს თბილისის საქალაქო საბჭო.

გ. ქავთარაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საგულისხმო გაკვეთილები“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 20 მარტის ნომერში გამოქვეყნდა წერილი. მასში გაკრიტიკებული იყვნენ თბილისის გარეუბნის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა და მტს-ი სასოფლო-საბურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის საქმეში არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის.

როგორც საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ბელაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და მიიღო ზომები წერილში მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. გ. ტივიშვილ გვწერდა სოფელ შელაანის რვაწლიან სკოლასთან მისასვლელი გზისა და სასმელი წყლის სათავის მოუვლელობის შესახებ. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა კაპრეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს.

როგორც აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჭარაქაშვილი გვატყობინებს წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მიღებულია ზომები სკოლასთან მისასვლელი გზისა და სასმელი წყლის სათავის სრულ წესრიგზე მოყვანისათვის.

დმანისის რაიონში

სოფლის რადიოფიკაცია

ხულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება დმანისის რაიონის მაღალმთიანი სოფელი გომარეთი. დიდხანია, რაც აქ ილიჩის ნათურები ციმციმებენ. წელს კი კოლმეურნეობამ მოაწყო რადიოკვანძი. ამჟამად რადიო გაყვანილი აქვს 300 ოჯახს, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებს და სხვ.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

მშრომელთა დეპუტატების რაიხაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ შარშან მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს დახმარების სახით მისცა 1.345.740 მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — 345.795 მანეთი.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

რაიონის ცენტრში სოფელ დმანისში წელს უნდა დაიდგას 76 ლამპიონი, უკვე დადგმულია 46. გაჰყავთ გზისპირა საწრეტი არხები, ტროტუარებს უკეთდება ბორდიურები, მიმდინარეობს ტროტუარებისა და გზების მოასფალტება, წელს მოასფალტდება 2.800 კვადრატული მეტრი.

მექანიზებული ფერმა

დმანისის რაიონის სოფელ ვაკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა ტიპური საძროხე 100 სულისათვის. ფერმაში ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებულია. ამჟამად მიმდინარეობს ფერმის მონტაჟი. უკვე დადგმულია ავტომატური სარწყულებლები და საკვების მოსამზადებელი მოწყობილობა.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მუდმივმოქმედი ლექტორიუმი ტექნიკის საკითხებზე

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ტექნიკის სექციამ მშრომელთა ფართო მასებს ტექნიკური ცოდნის ასამაღლებლად და მათთვის საბჭოთა მეცნიერების ახალი მიღწევების გასაცნობად ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის მცირე დარბაზში გახსნა მუდმივმოქმედი ლექტორიუმი ტექნიკის საკითხებზე. ლექტორიუმში ყოველ ოთხშაბათობით ეწყობა საზოგადოების ნამდვილ წევრთა ლექციები.

ლექტორიუმის გახსნისადმი მიძღვნილი პირველი სხდომა, რომელსაც 150-მდე კაცი დაესწრო, გახსნა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა. პროფესორმა ფ. თავაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „ტექნიკური პროგრესი მეტალურგიაში და ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი სსრ კავშირში“.

ლექციის შემდეგ უჩვენეს კინოსურათი „მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ამბები“ და სპეციალური ფილმი „ავტომატიზაციის გამოყენება მეტალურგიაში“.

პროფესორმა მ. მოსტკოვმა წაიკითხა ლექცია „ჰიდრავლიკა და მისი განვითარება სსრ კავშირში“, ხოლო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მამრაძემ — „ი. ბ. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემა“.

ლექტორიუმებში ლექციები ილუსტრირებული იქნება თვალსაჩინო მასალებითა და შესაბამისი კინოსურათების ჩვენებით.

21 მილიონი მანეთი მოგების სახით

მშრომელები ყოველწლიურად მილიონობით მანეთს იღებენ სახელმწიფო სესხების მოგებათა სახით. მარტო აპარის ასს რესპუბლიკაში გასულ წელს სახელმწიფო სესხის მფლობელებს მიეცათ 21.298 ათასი მანეთი მოგება, მარტო ქალაქ ბათუმში — 18.788 ათასი მანეთი.

ქალაქ ბათუმის ცენტრალური შემნახველი სალაროდან წელს გაცემულია 46 დიდი მოგება, 2.500 მანეთიდან 25.800 მანეთამდე. მოქალაქე ბ. მ-ვმა 1948 წლის 2-პროცენტიანი სახელმწიფო სესხის 200-მანეთიანი ობლიგაციით მოიგო 25.000 მანეთი. მეორე სახელმწიფო სესხის 500-მანეთიანი ობლიგაციით მოქალაქე ვ. მნაცაკანოვმა მოიგო 25.800 მანეთი. ამავე სესხის 50-მანეთიანი ობლიგაციით კ. ბაღდასაროვმა მოიგო 25.000 მანეთი. ამას წინათ ნ. ცინცაძემ შემნახველ სალაროში წარადგინა სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის 200-მანეთიანი ობლიგაცია, რომელმაც მოიგო 5.000 მანეთი.

განვლილ ხუთ თვეში ქალაქ ბათუმში მოგებათა თანხამ თითქმის 4 მილიონს მიაღწია.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ჟენევის თათბირზე 1954 წლის 10 ივნისს

ბატონო თავმჯდომარეო, ბატონო დელეგატებო!

ჟენევის თათბირი იმისთვის არის მოწვეული, რომ უზრუნველყოს მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთში. თათბირის ყველა მონაწილე აცხადებს, რომ საჭირო რაც შეიძლება მალე შეწყდეს საომარი მოქმედება, შეწყდეს სისხლისღვრა ინდოჩინეთში, აღდგენილ იქნას მშვიდობა. მაგრამ ერთია აცხადებდე, რომ შეწყდეს საომარი მოქმედება, და სხვაა ნამდვილად უწყობდე ხელს საომარი მოქმედების შეწყვეტას.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ამ თათბირმა უნდა განიხილოს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო პირობები. ეს საჭიროა იმისათვის, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა არ გადაიქცეს მოკლე შესვენებად, რომლის შემდეგაც საომარი მოქმედება განაახლდება კიდევ უფრო დიდი მასშტაბით და კიდევ უფრო გააფთრებით. ჩვენ ვფიქრობთ, იმით, რომ ეს არ მოხდეს საფრანგეთი არანაკლებ არის დაინტერესებული, ვიდრე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისევე როგორც ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოები.

ამასთანავე არ შეიძლება არ შევამჩნიოთ წინააღმდეგობა საომარი მოქმედების რაც შეიძლება მალე შეწყვეტის სურვილის განცხადებასა და ფაქტიურ დაბრკოლებებს შორის, რასაც შეთანხმების მიღწევას უქმნიან. საჭირო გახდა თითქმის ერთი თვე, რომ დელეგაციებს, მათ შორის საბჭოთა დელეგაციის მტკიცე წინადადება მეომარ მხარეებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარების შესახებ, ბოლოს, განხორციელებულიყო ჟენევაში 2 ივნისს. მაგრამ ამის შემდეგაც საჭირო გახდა რამდენიმე ხანი, რათა საფრანგეთის დელეგაცია დათანხმებულიყო იმაზე, რომ უშუალო კონტაქტი დაემყარებინათ საარდლობათა წარმომადგენლებს ადგილობრივ, ინდოჩინეთში. მაგრამ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნას საომარი მოქმედების მალე შეწყვეტა, თუ ორივე მხარის სარდლობებს შორის უშუალო ურთიერთობის დამყარების უბრალო საკითხი რამდენიმე კვირას გაჭიანურდა.

ახლა ჩვენ განვიხილავთ საკითხს, რომ ადგილობრივ შეიქმნას შერეული კომისიები, რომლებშიც შევლენ საარდლობათა წარმომადგენლები, და შეიქმნას დაზავების შესახებ შეთანხმების სამეთვალყურეო საერთაშორისო ორგანო. მაგრამ ამ გზაზეც იქმნება შეთანხმების მიღწევისათვის ხელოვნური დაბრკოლებანი. მაგალითად, კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებაში შარშან მალე მიღწეულ იქნა შეთანხმება დაზავების პირობების შესრულებისადმი სამეთვალყურეო ნეიტრალური ქვეყნების კომისიაში პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ. მაგრამ ჟენევის თათბირზე ეს საკითხიც ხელოვნურად გადააქციეს დაუსრულებელი დისკუსიის საგნად. იქმნება სრულიად გარკვეული შთაბეჭდილება, რომ თათბირის ზოგიერთი მონაწილე სჯერდება სიტყვებს, რომ საჭიროა საომარი მოქმედების შეწყვეტა. საქმით კი იგონებენ სხვადასხვა საბაბს, რათა დამტკიცონ, რომ შეუძლებელია შეთანხმება, და ეს დრო გამოიყენონ ვაშინგტონში და სხვა ადგილებში მოლაპარაკებისათვის ინდოჩინეთის ომში სხვა ქვეყნების ჩარევის შესახებ. საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების საბაბით აყენებენ ყოველგვარ პირობებს და დგამენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა მისწრაფებასთან — სწრაფად შეწყდეს საომარი მოქმედება ინდოჩინეთში. თუ ვის აკისრია ამისათვის პასუხისმგებლობა, ეს ისეც ცხადია.

აქ განსახილველი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხია ინდოჩინეთის ხალხთა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების საკითხი. ზოგიერთ დელეგაციას აქ სურს თავიდან მოიშოროს ეს საკითხი. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ყურადღებას იქცევს ჩვენს შორის მყოფ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ოფიციალურ წარმომადგენელთა პოზიცია, რომლებსაც, როგორც ჩანს, საფრანგეთის დელეგაციაც ეთანხმება. ამ მხრიდან ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ინდოჩინეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის საკითხში თითქოს ყველაფერი კარგად არის.

ბაო დაის ვიეტნამის მთავრობის წარმომადგენელმა აქ გამოაქვეყნა ტექსტი დოკუმენტისა, რომლის ხელმოწერასაც ეს მთავრობა აპირებს საფრანგეთის მთავრობასთან. მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი და, მაშასადამე, ასეთი შეთანხმება ნამდვილად არ არსებობს. ხოლო, მეორე მხრივ, საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ხელმოწერილ იქნას ესა თუ ის დოკუმენტი, არამედ ის, რომ ვიეტნამელი ხალხისათვის ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას დამოუკიდებლობა და ეროვნული თავისუფლება. ლაოსისა და კამბოჯის წარმომადგენლები ყოველნაირად გვარწმუნებენ, რომ მათთვის დამოუკიდებლობის საკითხი უკვე გადაჭრილია საფრანგეთთან შეთანხმებებით, რომლებიც მიღებულ იქნა 1949 წელს თუ 1953 წელს. მაგრამ უცნაური საქმეა, ეს დოკუმენტები არსებობენ, ხოლო ხალხთა ბრძოლა ლაოსსა და კამბოჯაში თავიანთი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის კი არ წყდება, არამედ უფრო ჩაღდება.

არ შეიძლება ერთმანეთს არ დავუპირისპიროთ ასეთი ფაქტებიც. კამბოჯის, ლაოსისა და ვიეტნამის ოფიციალური წარმომადგენლები წამდაუწუმ ლაპარაკობენ, რომ მათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა თავიანთი სახელმწიფოებისათვის. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რატომ არის, რომ აზიის თითქმის არც ერთი ქვეყანა არ ცნობს ამას? რატომ არის, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ინდოეთი, ბირმა, პაკისტანი, ინდონეზია და სხვები, რომლებიც ინდოჩინეთთან ახლოს მდებარეობენ, უარს ამბობენ ცნონ დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების არსებობა ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში? განცხადებამ, რაც დღეს გააკეთა კამბოჯის მეფის წარმომადგენელმა, რომელიც ცდილობდა ერთი ქვეყანა გამოეყო ინდოჩინეთის ორი სხვა სახელმწიფოსაგან, გარკვეულობა ვერ შეიტანა განსახილველ საკითხში.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას ამ საკითხში. როგორც შარშან, ისე წელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები თითქმის ყოველ თვეში საჯაროდ აცხადებენ, რომ საფრანგეთმა, ბოლოს, უნდა უზრუნველყოს ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის დამოუკიდებლობა. ძნელი არ არის მოვიყვანოთ ათობით ასეთი განცხადება. გამოდის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები უფრო მეტად ზრუნავენ ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის დამოუკიდებლობისათვის, ვიდრე ინდოჩინეთის სახელმწიფოთა სამეფო მთავრობების თვით ოფიციალური წარმომადგენლები.

თუმცა, საჭიროა შენიშვნაც. როცა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები ლაპარაკობენ ვიეტნამისათვის, კამბოჯისა და ლაოსისათვის ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საჭიროებაზე, ისინი ხშირად აშკარად აცხადებენ, რომ ინდოჩინეთის სახელმწიფოთა ნამდვილი დამოუკიდებლობა მათ არ აინტერესებთ. ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა ნოულენდმა გულახდილად განაცხადა, რომ ვიეტნამისათვის, კამბოჯისა და ლაოსისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება შეიძლება ხუთი წლის შემდეგაც, მაგრამ საჭიროა, რომ ამჟამად საფრანგეთმა გააკეთოს თუნდაც რაიმე შესაფერი განცხადება ამ საკითხზე, რათა გააადვილოს ვიეტნამელთა შეგროვება იმ ჯარებში, რომლებიც ამერიკის გარკვეულ წრეებს სურთ გამოიყენონ ინდოჩინეთში ომის განგრძობისათვის. ამავე თვალსაზრისს შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ დალესის მრავალი განცხადება.

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რატომ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები, გამოდიან რა თავიანთ ქვეყანაში, ასე ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ საჭიროა ვიეტნამს, კამბოჯასა და ლაოსს მიეცეს დამოუკიდებლობა, და რატომ დაყენებით დუმს ამ თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ამ საკითხის შესახებ. თქვენთვის ახალი ამბავი არ იქნება, თუ აღვნიშნავ ამ ფაქტს, რომ დღემდე ამერიკის დელეგაციას ჟენევის თათბირზე სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, რომ ინდოჩინეთის ხალხებს დღემდე არა აქვთ ეროვნული დამოუკიდებლობა, და იმაზე, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი მდგომარეობისათვის.

როგორც ცნობილია, ჟენევის თათბირმა საჭიროდ მიიჩნია, რომ მეომარი მხარეების სამხედრო წარმომადგენლები შეუდგნენ სამარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ჯარების განლაგების ზონების საკითხის მოწესრიგებას. ამასთან დაკავშირებათ თათბირის ყველა მონაწილე დაეთანხმა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლის განცხადებას, რომ ჟენევის თათბირი ემყარება ვიეტნამის ერთიანობის პრინციპს და რომ ეს საკითხი არ წარმოადგენს დისკუსიის საგანს.

აქ ჩვენ არაერთხელ მოვისმინეთ ბაო დაის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებანი ვიეტნამის ერთიანობის საკითხზე. მაგრამ ეს მთავრობა ახლა კონტროლს უწევს ვიეტნამის ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილს. ვიეტნამის ერთიანობის ნამდვილად დაცვისათვის საჭიროა ვიეტნამელი ხალხის ერთიანობის უზრუნველყოფა. ამისათვის საუკეთესო საფუძველი იქნებოდა ვიეტნამში საყოველთაო არჩევნების რაც შეიძლება მალე მოწყობა. მაგრამ ამაზე ვიეტნამის ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლები არაფერს ამბობენ. ამას მოითხოვს მხოლოდ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. როგორც ჩანს, ეს იმას მოწმობს, რომ, მიუხედავად იმისა, თუ როგორია თვით ვიეტნამელი ხალხის აზრი, ბაო დაის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლება კმაყოფილი არიან თავიანთი საქმიანობით და თავიანთი ურთიერთდამოკიდებულებით საფრანგეთთან. მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ამგვარი პოზიციისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. თავის დროზე, 1945 წელს, ბაო დაის ტახტიდან გადადგომაში ნათქვამი იყო: „ჩვენ არ შეგვიძლია არ განვიცდიდეთ ერთგვარი სიხანესლის გრძნობას, როცა ვფიქრობთ ჩვენი ოცი წლის მმართველობაზე, რომლის განმავლობაში ვერავითარი არსებითი სარგებლობა ვერ მოვუტანეთ ჩვენს ქვეყანას“.

ამ განცხადების გახსენებას ჩვენს პირობებშიც აქვს მნიშვნელობა. ახლა ხელისუფლების სათავეში კვლავ დგას წინათ ტახტიდან გადადგარი ბაო დაი. მაგრამ სად არის იმის დამამტკიცებელი სიტუაცია, რომ ამჟამად ვიეტნამში უკეთესი მდგომარეობაა? ასეთი სიტუაცია არ არის.

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა აქ გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გაიმეორა რა ჩვეულებრივი სტერეოტიპული გამოხდომები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ზოგჯერ მიმართავენ, როცა მათ საქმის არსზე სათქმელი არაფერი აქვთ. ამასთან იგი იხსენებდა წარსულ ამბებს და არასწორად გვიხატავდა მათ. სხვათა შორის, იგი ამბობდა, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა პოლონეთის მიმართ 1939 წელს გერმანიასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების დროს სწორი არ იყო. ამ განცხადების უსაფუძვლობა აშკარაა. ამისათვის საკმარისია წავიკითხოთ ცნობილი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც 1948 წელს დაიბეჭდა სსრ კავშირში სახელმწიფოთა „ისტორიის ფალსიფიკატორები“. ყველა ხედავს, რომ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს პოლონეთის მიმართ, მოჰყვა მეგობრული, ჭეშმარიტად კარგი ურთიერთობის დამყარება სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის. მეორე მხრივ, პოლონეთის დამცველის როლი აშკარად არ შეეფერის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს. საკმარისია აღინიშნოს, რა დაინებით ილაშქრებს აქ იგი იმის წინააღმდეგ, რომ პოლონეთი შედიოდეს ინდოჩინეთში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური ქვეყნების კომისიაში. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა საქმეები ყოველთვის როდი შეესაბამება მათს სიტყვებს, მათს განცხადებებს.

მაგრამ ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა ამერიკის წარმომადგენლისაგან შეგვეტყო რამე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხზე, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ. ეს პოლიტიკა ამჟამად იმის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა, რომ ინდოჩინეთში შეწყდეს საომარი მოქმედება და რომ იქ დამყარდეს მტკიცე მშვიდობა, რაც ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის ხალხებს სწყურიათ.

ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენ ყველანი და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები არ ვუშქმნიდეთ ხელოვნურ დაბრკოლებებს ინდოჩინეთში საომარი მოქმედების რაც შეიძლება მალე შეწყვეტის პირობების შესახებ შეთანხმების მიღწევას.

შემდეგ ამასათვის საჭიროა, რომ ჟენევის თათბირის ყველა მონაწილემ აღიაროს, რომ სამხედრო ღონისძიებათა მოწესრიგებასთან ერთად ინდოჩინეთში მტკიცე და საიმედო მშვიდობის დამყარების ინტერესები მოითხოვენ სათანადო პოლიტიკური საკითხების მოწესრიგებასაც. ამას, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნის ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საკითხი და თავისუფლებისა და საყოველთაო არჩევნების მოწყობის პირობებში ინდოჩინეთის თვითეული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის საკითხი.

ჟენევის თათბირის ამოცანა შესრულებული იქნება, თუ იგი ხელს შეუშლის ინდოჩინეთში ომის გაფართოების ცდებს და ამ მიზნით ახალი სამხედრო აგრესიული ბლოკების შექმნას. ეს ამოცანა შესრულებული იქნება, თუ ჟენევის თათბირის ღონისძიებათა მიზანი იქნება საომარი მოქმედების რაც შეიძლება მალე შეწყვეტა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის ძირითადი პირობების შესახებ შეთანხმების მიღწევა.

ბ-ნ იდენის დღევანდელ გამოსვლას რომ შეძლებოდა ხელი შეეწყო ამის მიღწევისათვის, იგი თათბირის ძირითადი მიზნების შესაფერისი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 11 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. დ. ნაზარენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. პ. სტეპანოვი, გუშინ ინახულა და გვარგვინით შეამკო კლემენტ გოტვალდის მავზოლეუმი. დელეგაციას ახლდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური სამდივნოს წევრები ალექსი ჩეპიჩკა, ვაცლავ კოპეცკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ნ. პ. ფირიუბინი და სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები.

მეორთქლმავლეთა შეხვედრა ლვოველ მსახიობებთან

გუშინ, 11 ივნისს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს ესტუმრა ლვოვის უკრაინული დრამატული თეატრის კოლექტივის ერთი ჯგუფი.

შესვენების დროს, 12 საათზე, ქარხნის ეზოში თავი მოიყარეს მუშა-მოსამსახურეებმა. ისინი გულთბილად შეხვდნენ მომმე უკრაინული ხალხის ხელოვნების წარმომადგენლებს. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქვაბე საამქროს სტახანოველმა ვ. პილიპჩუკმა. სიტყვა წარმოთქვა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. იარმენკომ, რომელმაც ილაპარაკა თეატრის მუშაობაზე და იმ გულთბილ შეხვედრებზე, რასაც ყველგან უწყობენ მას საქართველოში.

უკრაინელმა მსახიობებმა სახელდახელოდ გამართულ ესტრადაზე უკრაინის სსრ სახალხო არტისტის ფ. გაიწკოს, მსახიობების ვ. მაქსიმენკოს, ე. ბურმისტროვას და ო. კოხის მონაწილეობით მეორთქლმავლეებს უჩვენეს უკრაინული კლასიკური ვოდევილი — „პირველი გასეირნება სოფლად“. მსახიობებმა ვ. სტაროსტამ და მ. ერშოვამ შეასრულეს რამდენიმე რუსული და უკრაინული სიმღერა.

სურათზე: ლვოველი მსახიობები (მარცხნიდან) ე. ბურმისტროვა, ფ. გაიწკო და ვ. მაქსიმენკო ქარხნის ეზოში ასრულებენ ვოდევილს.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 10 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). ცხრა დელეგაციის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე, რომელიც ა. ედენის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გრძელდებოდა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვა.

ინგლისის დელეგაციის მეთაური ედენი, რომელიც პირველი გამოვიდა, შეეცადა გაეკეთებინა აქამდე მომხდარი დისკუსიების მიმოხილვა. მან აღნიშნა, რომ არსებობს თანხმობა იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთსა და იმავე დროს შეწყდეს საომარი მოქმედება და რომ ამ საკითხის განხილვა დაიწყოს ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხით. ედენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე მხარის უმაღლეს სარდლობათა წარმომადგენლები უკვე შეიკრიბნენ ჟენევაში, და იმედი გამოთქვა, რომ მალე მიიღებს ზოგიერთ ცნობას მათი მუშაობის შედეგების შესახებ.

შეეხო რა საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის დაწესების საკითხს, ედენმა განაცხადა, რომ საკმათო არა აქვს რა იმის წინაღმდეგ, რომ შეიქმნას საერთაშორისო კომისია ასეთი კონტროლის განსახორციელებლად, და რომ უთანხმოება ეხება უწინარეს ყოვლისა ამ კომისიის შემადგენლობის საკითხს. იგი დაჟინებით მოითხოვდა მიეღოთ მისი წინადადება, რომ ამ კომისიაში შესულიყვნენ კოლომბოს კონფერენციის მონაწილე ქვეყნები. ამასთან მას კრიტიკა არ დაუძრავს იმ ცდების წინააღმდეგ გამოთქმულ დასაბუთებულ მოსაზრებათა გამო, რომ კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისათვის კრიტერიუმად გამოყენებულ იქნას ამა თუ იმ სახელმწიფოს იდეოლოგია და საზოგადოებრივი წყობილება. ედენი აგრეთვე დაჟინებით მოითხოვდა, რომ ამ კომისიამ არ იხელმძღვანელოს შეთანხმებულობის პრინციპით, არამედ მიიღოს გადაწყვეტილება ხმის უმრავლესობით, რომელის დროსაც, როგორც ცნობილია, კომისიის წევრთა უმრავლესობას შეუძლია თავს მოაბვიოს უმცირესობას თავისი ნება-სურვილი. იდენის აზრით, ორივე მხარის წარმომადგენელთაგან შემდგარი შერეული კომისიები უნდა დაექვემდებარონ საერთაშორისო ნეიტრალურ კომისიას, თუმცა, როგორც ეს დამაჯერებლად ცხადყვეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დელეგაციებმა დისკუსიების მსვლელობაში, ნამდვილად მიუდგომელი და ქმედითი კონტროლი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავარი პასუხისმგებლობა მისი განხორციელებისათვის დაეკისრება შერეულ კომისიებს და თუ ნეიტრალური ქვეყნების კომისია და შერეული კომისიები იმოქმედებენ პარალელურად, ერთმანეთისადმი დაუმორჩილებლად.

განაცხადა, რა რომ ლაოსსა და კამბოჯაში მშვიდობის აღდგენის საკითხი უნდა გამოეყოს ვიეტნამის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხს, ედენმა იკისრა განუხორციელებელი ამოცანა — დაამტკიცოს, თითქოს ლაოსსა და კამბოჯაში არ არიან შეიარაღებული ძალები, რომლებიც ერთვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას წარმოადგენენ, და რომ ომი ამ ორ სახელმწიფოში გამოწვეულია ვითომდა ვიეტნამელი ჯარების შეჭრით. მაგრამ „დამამტკიცებელ საბუთებად“ მან შეძლო მოეყვანა მხოლოდ ლაოსისა და კამბოჯის იმ მარონეტულ ხელისუფალთა ლიტონი და სრულიად დაუსაბუთებელი განცხადება, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ სახელმწიფოთა ხალხების ერთვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობით.

დასასრულ იდეზმა განაცხადა, რომ თათბირის მონაწილეებმა ახლა იციან, თუ რა უთანხმოებაა მათ შორის, და ამიტომ დგანან არჩევანის წინაშე: ან გადაჭრან ეს უთანხმოება, ან აღიარონ, რომ თათბირი დამარცხდა, მარცხი განიცადა. მან დასძინა, ინგლისის დელეგაცია იმის წინააღმდეგი არ იქნება, რომ დათურულ სხდომებზე გადავიდეთ, რათა თვალსაზრისთა შეთანხმებას შეეცადოთო.

კამბოჯის ხელისუფალთა წარმომადგენელმა ვრცელ სიტყვაში, რომელშიც მან თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ყველფერი, რაც წინათ თქვა, კვლავ სცადა საქმე ისე დაესახა, თითქოს ეს ხელისუფალნი ხალხის ნებას გამოხატავდნენ. კამბოჯის წარმომადგენელმა სცადა ის გარემოება, რომ კამბოჯის მარიონეტული მთავრობა არ უცვნიათ აზიის ისეთ სახელმწიფოებს, როგორც არიან ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, ინდონეზია და სხვა სახელმწიფოები, აეხსნა იმით, რომ „ეს სახელმწიფოები სრულებით ვერ ერკვევიან საგარეო პოლიტიკაშო“. იგი უჩიოდა იმას, რომ აზიის ხუთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრთა ამასწინანდელ თათბირზე კოლომბოში ინდოეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები არ გარკვილან, როგორც მან თქვა, იმისათვის, რომ კამბოჯისა და ლაოსის პრობლემა ვიეტნამის პრობლემისაგან გამოეყოთ. ამასთან დაკავშირებით მან ხსენებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ბრალად დასდო კამბოჯისა და ლაოსის „განსაკუთრებული მდგომარეობა“ არ ესმითო.

მაშინ, როცა თათბირი განიხილავს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხს და, კერძოდ, იმისადმი კონტროლის საკითხს, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ინდოჩინეთში არ შეიყვანონ ჯარები და არ შეიტანონ იარაღი, კამბოჯის წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მის მთავრობას მისცენ შესაძლებლობა გაადიდოს თავისი შეიარაღებული ძალები.

შემდეგ გამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ფან ვან დონგი. შეეხო რა კამბოჯისა და ლაოსის მარიონეტულ ხელისუფალთა წარმომადგენლების არარეფოზნის ცდებს — დასაბრუნონ თავიანთი თავი კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხთა ინტერესების გამომხატველად და უარყონ ამ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსებობა, ფამ ვან დონგმა ცხადყო, რომ ასეთი ცდები ვერავის ვერ მოატყუებს.

ჟენშმარიტება ის არის, განაცხადა მან, რომ კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხები, რომლებიც ერთგულად იცავენ უცხოეთის აგრესიის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ტრადიციებს, მჭიდროდ დაირაზმნენ და სულ უფრო ძლევამოსილ წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალისტ დამპყრობლებს. ამ წინააღმდეგობაში მონაწილეობას იღებს მოსახლეობის ყველა ფენა, და იგი ორივე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა დამაჯერებელი ფაქტებით ცხადყო სრული უსაფუძვლობა ზოგიერთი დელეგაციის ცდებისა — საქმე ისე დასახონ, თითქოს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დამოუკიდებლობის დამყარების ამოცანა უკვე მთლიანად გადაწყვეტილი იყოს იმით, რომ საფრანგეთისა და ინდოჩინეთის ამ სამი სახელმწიფოს მარიონეტულ ხელისუფლებს შორის დაიდო შეთანხმებანი. ფამ ვან დონგმა ცხადყო, რომ უკვე ამ შეთანხმებათა ტექსტიდან ჩანს, რომ იქ ლაპარაკია არა დამოუკიდებლობის მინიჭებაზე, არამედ, პირიქით, იმაზე, რომ ეს სახელმწიფოები უცხოელთა ბატონობას დაუმორჩილონ.

ფამ ვან დონგმა დაწვრილებით გაარჩია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი, რომლებიც მან 10 მაისს შეიტანა, და ცხადყო, რომ ისინი ინდოჩინეთში მშვიდობის, აგრეთვე ინდოჩინეთის ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ეროვნული ერთიანობის აღდგენის გონივრულ და პრაქტიკულ გეგმას წარმოადგენენ. მან მოიყვანა აგრეთვე იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის მარიონეტული მთავრობების დელეგაციათა აზრები საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ წინადადებათა წინააღმდეგ, რომლებიც გამორიცხავენ უცხოეთის ყოველგვარ ჩარევასა და ზეგავლენას, ნაკარნახევია იმით, რომ ეს ხელისუფალნი უფრთხიან ხალხთა ნების თავისუფალ გამოვლინებას.

დასასრულ ფამ ვან დონგმა განაცხადა, რომ იგი მზარს უჭერს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას, რომ საფრანგეთისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებმა დაამყარონ კონტაქტი იმ პოლიტიკური საკითხების განსახილველად, რომლებიც ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენას შეეხებიან. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური საკითხების განხილვის პირობით ჟენევის თათბირი შეძლებს გადაჭრას თავისი ამოცანა, რომელიც ინდოჩინეთში მშვიდობის სწრაფ აღდგენას წარმოადგენს.

კამბოჯის დელეგატის მეორედ გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა. მან აღნიშნა, რომ, საბჭოთა დელეგაციის აზრით, თათბირმა უნდა განიხილოს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო პირობები და რომ ეს საჭიროა იმისათვის, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა არ გადაიქცეს მოკლე ხნის შეწყვეტად, რის შემდეგ საომარი მოქმედება გაჩაღდება უფრო დიდი მასშტაბით, უფრო გააფთრებით. მან ცხადყო, რომ მთელი რიგი დელეგაციების განცხადებანი საომარი მოქმედების უსწრაფესი შეწყვეტის სურვილის შესახებ განსხვადება იმ ფაქტიური დაბრკოლებებისაგან, რომლებსაც ეს დელეგაციები შეთანხმების მიღწევას უქმნიან. იმის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება, რომ ინდოჩინეთში დამყარდეს მტკიცე მშვიდობა, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაა.

ვ. მ. მოლოტოვმა დასასრულ თქვა, რომ ჟენევის თათბირის ამოცანა შესრულებული იქნება, თუ იგი ხელს შეუშლის ინდოჩინეთში ომის გაფართოების ცდებს და ამ მიზნით ახალი სამხედრო აგრესიული ბლოკების შექმნას და თუ იგი თავის ღონისძიებებს წარმართავს ინდოჩინეთში საომარი მოქმედების უსწრაფესად შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის ძირითად პირობებზე შეთანხმების მიღწევისათვის.

(ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა გაზეთის ამ ნომერში ქვეყნდება).

ლაოსის, ბაოდაელთა ვიეტნამისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოკლე სიტყვების შემდეგ, რომლებსაც ახალი არაფერი მოუმატებია იმისათვის, რასაც მათი წინანდელი სიტყვები შეიცავდა, თავმჯდომარემ ედენმა განაცხადა, რომ 11 ივნისს გაიმართება პლენარული სხდომა კორეის საკითხზე. მან წინადადება შეიტანა, რომ ინდოჩინეთის საკითხზე თათბირის ორივე თავმჯდომარემ კონსულტაცია გასწიონ ინდოჩინეთის საკითხის განხილვის შემდგომი წესის შესახებ. ამ წინადადების წინააღმდეგ არავინ წასულა.

ამით დაიხურა სხდომა.

ინდოეთიის საზოგადოებრიობა მხარს უჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს

ჯაკარტა, 10 ივნისი. (საკდესი). ინდონეზიაში ფართოდება მოძრაობა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად. ანტარას სააგენტო გადმოგვცემს, რომ ცენტრალური იავის დიდი ქალაქის ჯოკიაკარტის ახალგაზრდობა მოითხოვს დაუყოვნებლივ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი და შეწყდეს ატომური და წყალბადის ბომბების წარმოება. ჯოკიაკარტის ახალგაზრდობა მიმართავს მოუწოდებს მთელ ინდონეზიელ ხალხს მხარი დაუჭიროს ამ მოთხოვნებს.

ინგლისის დეპუტატთა პალატამ გააუქმა რეაქციული საარჩევნო კანონი

რომი, 10 ივნისი. (საკდესი). იტალიის დეპუტატთა პალატამ ხმების დიდი უმრავლესობით 9 ივნისს მიიღო სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის პიეტრო ნენის წინადადება 1953 წლის საარჩევნო კანონის გაუქმების შესახებ. ეს წინადადება მიღებულია 427 ხმით 75 ხმის წინააღმდეგ. მას ხმა მისცეს კომუნისტმა, სოციალისტმა, სოციალ-დემოკრატმა, ლიბერალმა, რესპუბლიკელმა, მონარქისტმა, „იტალიის სოციალური მოძრაობის“ წევრმა დეპუტატებმა და ქრისტიან დემოკრატ დეპუტატთა დაახლოებით ორმა მესამედმა.

როგორც ცნობილია, ეს რეაქციული კანონი ქრისტიან დემოკრატთა უმრავლესობამ პარლამენტს მიაღებინა იმ ვარაუდით, რომ იგი საშუალებას მისცემდა მმართველ პარტიას ხელში ჩაეგდო ადგილების უმრავლესობა პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ მისი გავლენა ხელმწიფოში მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს კანონი ითვალისწინებდა, რომ პარტია ან არჩევნებში გაერთიანებული პარტიები, მიიღებენ რა ხმების 50 პროცენტს, დაიკავებენ პარლამენტში ადგილების დაახლოებით ორ მესამედს. როგორც ცნობილია, იტალიის რეაქციის ეს მანევრი მისი სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. მთელი ხრიკების მიუხედავად, 1953 წლის არჩევნებში ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ, რომელმაც საარჩევნო კავშირები დადო წვრილ პარტიებთან — სოციალ-დემოკრატებთან, რესპუბლიკელებთან, ლიბერალებთან — ვერ მოაგროვა ხმების 50 პროცენტი.

ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ხელმძღვანელმა ყოველნაირად ცდილობდა, რომ პარლამენტს გადაედო განხილვა პიეტრო ნენის წინადადებისა 1953 წლის საარჩევნო კანონის გაუქმების შესახებ. მაგრამ ამ მანევრებს შედეგი არ მოჰყვა, რამდენადაც ქრისტიან დემოკრატთა პარტიამაც კი ბევრია კანონის მოწინააღმდეგე. ნენის წინადადება ითვალისწინებს 1948 წლის საარჩევნო კანონის აღდგენას, რომელსაც საფუძვლად უდევს პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი.

დეპუტატთა პალატამ მოიწონა ავრეთვე რეზოლუცია, რომელიც სოციალისტმა ტარჯეტემ შეიტანა და რომელიც ავალებს მთავრობას 15 ივლისამდე შეიტანოს პარლამენტში კანონპროექტი 1948 წლის საარჩევნო კანონის შესაწორებლად და პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის გასაძლიერებლად. ცნობას კენჭისყრის შედეგების შესახებ იტალიის საზოგადოებრივი აზრი კმაყოფილებით შეხვდა.

გადადგა სირიის მთავრობა

ბეირუთი, 10 ივნისი. (საკდესი). როგორც დღეს დილით ბეირუთის რადიომ გადმოსცა, სირიის საბრი ასალის მთავრობა გადადგა.

პრესა აღნიშნავს, რომ გადადგომის მიზეზია შინაგანი უთანხმოება მთავრობაში.

რადიო და პრესა იუწყებიან, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაიწყო კონსულტაცია პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, რათა შეიქმნას ახალი მთავრობა, რომელიც იკისრებს ამოცანას მოაწყოს პარლამენტის ახალი არჩევნები.

ღი სინ მანის პროვოკაციული განცხადება

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, დღეს სამხრეთ კორეის ეროვნულ კრებაში გამოვიდა ლი სინ მანი, რომელმაც განაცხადა, რომ სამხრეთი კორეა უნდა მოემზადოს „ჩრდილოეთში ლაშქრობისათვის, რათა გაერთიანოს“ კორეა.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა
ქრონიკული ბიბლიოთეკა

ნაყინი

ზაფხულის ცხელი დღეების დადგომისთანავე სულ უფრო ავართოებს ნაყინის ასორტიმენტსა და რაოდენობას თბილისის მაცივარკომბინატი. 1 ივნისისათვის გამოშვებულია 134,6 ტონით მეტი ნაყინი, ვიდრე 1953 წლის ამავე პერიოდისათვის იყო გამოშვებული.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ნაყინის დასამზადებლად აქ იყენებენ მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქტებს — კარაქ „ექსტრას“, კაკაოს ფხვნილს „ზოლოტოი იარლიკს“, ნაღებს, შესქელებულ რძეს და სხვ.

ნაყინის საამქროში დადგმულია უახლესი კონსტრუქციის აპარატურა. მზადდება 14 სახელწოდების ნაყინი. წელს პირველად დამზადდა რძე-შოკოლადის ნაყინი, კრემ-ბრიულე, ჭიშმიშიანი, ცუკატიანი და სხვ.

კომბინატში ჩამოყალიბდა ვაფლის ჭიქების ხაამქრო. საცალო ვაჭრობაში ნაყინის გაშვების დროს ფართოდ იყენებენ მშრალ ყინულს, რათა თავიდან აცილებულ იქნას ნაყინის დასველება და დეფორმაცია.

სურათებზე: 1. თბილისის მაცივარკომბინატის მუშა ე. მაისურაძე ნახევრადავტომატურ მანქანაზე ამზადებს ვაფლის ჭიქებს ნაყინისათვის. 2. ბავშვები — ნაყინის ძირითადი მომხმარებლები ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ნაყინის პავილიონთან.

ფოტო შ. გოქაძისა.

ტანსაცმლის 150 ახალი მოდელი

საქართველოს მოდელების სახლში მიმდინარეობს მზადება შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის. მოდელიორმ-მხატვრებმა და კონსტრუქტორებმა შექმნეს მამაკაცის, ქალისა და ბავშვის შემოდგომა-ზამთრის სეზონის ტანსაცმლის 150 მოდელი. აქედან 17 ფასონმა საუკეთესო შეფასება მიიღო.

კარგი გემოვნებით გამოირჩევა მოდელიორმხატვრების ა. კალანდაძის, ა. რუხაძის, თ. კალანდაძის კაბების მოდელები, აგრეთვე კონსტრუქტორ-მოდელიორ ზ. კარასიოვის მიერ შექმნილი სბაგშვო ტანსაცმლის ფასონები.

მოდელიორმა ე. ატაპინამ წარმოადგინა პალტოების, კოსტიუმების, კაბების, ხალათების, პიჟამების, სპეცტანსაცმლის, დიასახლისებისათვის წინსაფრების კარგი მოდელები. მამაკაცის ზედა ტანსაცმლის კარგი მოდელები შექმნა აგრეთვე მხატვარ-მოდელიორმა ს. ტამარსკიმ.

საქართველოს და სომხეთის საკერვალო მრეწველობაში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ახალი ფასონების დასანერგავად.

ფეხბურთი

გუშინ მოსკოვის „სტალინეცის“ სტადიონზე გამართული ლენინგრადის „შრომითი რეზერვებისა“ და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩით დამთავრდა სსრ კავშირის 1954 წლის პირველობის გათამაშების პირველი წრე. თამაში მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 2:0.

პირველი წრის შედეგები ასეთია:

მოსკოვის „დინამო“ 18 ქულით განაგრძობს ლიდერობას. გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი“, მესამეზე — კიევის „დინამო“, მეოთხეზე — თბილისის „დინამო“. თვითეულ მათგანს თორმეტი თამაშიდან შეგრეხვებული აქვს 15 ქულა. მიხსკის სპარტაკელებმა 14 ქულით მეხუთე ადგილი დიაკავეს. მეექვსე ადგილი უკავია ლენინგრადის „შრომითი რეზერვებს“, მეშვიდე — მოსკოვის „ტორპედოს“, მერვე — მოსკოვის ცსკა-ს, მეცხრე— კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“, მეათე — ლენინგრადის „ზენიტს“, მეთერთმეტე — ხარკოვის „ლოკომოტივს“, მეთორმეტე — დონეცკის „ლოკომოტივს“, მეცამეტე — გორკის „ტორპედოს“.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

საჯარო ლექციები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სალექციო დარბაზში 15 და 16 ივნისს გამართავს საჯარო ლექციებს.

15 ივნისს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ნ. ბერძენიშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობის საკითხისათვის“.

16 ივნისს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე მოეწყობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ე. ხარაძის საჯარო ლექცია თემაზე: „მზის სრული დაბნელება 1954 წლის 30 ივნისს“.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

22-VI-54 წ. დღის 1 საათზე (№ 93 აუდიტორიაში) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ზურაბ დავითისძე ჭარხალაშვილი** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„იოჰანეს ბეხერის შემოქმედებითი ევოლუციის საკითხები“.**

23-VI-54 წ. დღის 12 საათზე (№ 93 აუდიტორიაში) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მიხეილ ისმაილის-ძე ჩართოლანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (სვანური კერა)“.**

23-VI-54 წ. დღის 3 საათზე (№ 93 აუდიტორიაში) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნიკოლოზ ბიორგისძე ნიკოლაიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პარიზის კომუნა და XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა“.**

24-VI-54 წ. დღის 3 საათზე (№ 95 აუდიტორიაში, უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვალერიან სილიბისტროს-ძე მაცაბერიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Некоторые результаты исследования магнитного поля Колхидской низменности“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

23-VI-54 წ. დღის 11 საათზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნინო სპირიდონის ასული ჟირიმელაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„გოგროვანთა ასკოქიტოზი (Ascochyta melonis) და მასთან ბრძოლის ღონისძიებანი“.**

შრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ქ. № 35.

ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1954-55 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებზე:

1. სასკოლო განყოფილება (ამზადებს დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს).
2. რუსული განყოფილება (ამზადებს ქართული სკოლის დაწყებითი კლასის რუსული ენის მასწავლებლებს).
3. უფროს პიონერხელმძღვანელთა განყოფილება (ამზადებს ქართული სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლებსა და უფროს პიონერხელმძღვანელებს).
4. სკოლამდელი აღზრდის განყოფილება (ამზადებს სბავშვო ბაღის მასწავლებლებს).

პირველ კურსზე მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 14-დან 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

მისაღები გამოცდების დაწყებამდე მოხდება მუსიკალური შემოწმება, (სმენა, რიტმი, მეხსიერება), რაც გადაწყვეტს მსურველის მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს (გარდა რუსული განყოფილებისა).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები.

პედაგოგიურ სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით (საერთო წესით).

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამი ფოტოსურათი (დამოწმებული), ავტობიოგრაფია, ჯანმრთელობის ცნობა, სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა (ვაჟებისათვის) და ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, დაწვრილებითი ცნობები გაიცემა ყოველდღე დღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. № 31.

შენიშვნა: 1. მსურველმა განცხადებაში უნდა აღნიშნოს, რომელ განყოფილებაზე სურს ისწავლოს, 2. რუსულ განყოფილებაზე მისაღები გამოცდები და სწავლება იწარმოებს რუსულ ენაზე (გარდა ქართული ენისა და ლიტერატურისა), 3. უფროს პიონერხელმძღვანელთა განყოფილებაზე მსურველმა უნდა წარმოადგინოს შუამდგომლობა კომკავშირის რაიკომიდან, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას სამკურნალო დაწესებულების კომისიის მიერ, 5. მსურველებმა განცხადება და საბუთები სასწავლებელში ჩარიცხვის ან მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ უნდა წარმოადგინონ პირადად, 6. მუსიკალური შემოწმება მოეწყობა სასწავლებელში ა. წ. 27-დან 30 ივლისამდე.

საქხალხეკონომშენივაჭრობის ქ. თბილისის ხე-ტყის სავაჭრო საწყობი

№ 1 (დიდუბე, რკინის ქუჩა № 2) აცხადებს, რომ აქვს გასაყიდად შემდეგი ასორტიმენტის ხე-ტყის მასალა და ავეჯი: დახერხილი მასალა წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშებისა — II-დან V ხარისხამდე, კარები და ფანჯრები უჩარჩოო, დაწებებული ფანერა სხვადასხვა ზომისა, ვეტლახის ფილები, კარადა რიგის ტიპისა, სამზარეულოს მაგიდები, საწერი მაგიდები, სარკის ჩარჩოები, ამანათის ყუთები და კასრები. საწყობს აქვს ფარდულები ლენინის რაიონში საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე და კიროვის რაიონში მიასნიკოვის ქ. № 102, ავეჯის მაღაზია რუსის ქ. № 3.

კავშირგაბმულობის სახლში საწყობს აქვს კოსკები, სადაც იყიდება ამანათის ყუთები. რუსთაველის პროსპექტზე და მთავარ ფოსტაში პლეხანოვის პროსპექტზე. ქ. რუსთაველში საწყობს აქვს ფილიალი.

საწყობი ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 18 საათამდე, გარდა კვირაოდღეებისა. ფარდულები დაკეტილია ორშაბათობით.

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ბოგდან ხმელნიცკი, რუსთაველის სახელობის — შელმენკო — დენშჩიკი (ლვოვის თეატრის გასტროლები), მარჯანიშვილის სახელობის — ამხანაგი გიორგი, გრიბოედოვის სახელობის — კიკვიძე, სომხური დრამის — ვაგიფი, სანიტარული კულტურის — შვილი.

* * *

კინოთეატრების საზამთრო დარბაზებში — რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, 26 კომისრის — ანა კისერზე, კომკავშირელი — კოლონია მწის ქვეშ, კოლხიდა, დიდუბე — პარტიზანის შვილები, კოლმეურნე — შემთხვევა ტაიგაში, ოფიცერთა სახლი — საყვარელი არიები.

საზაფხულო დარბაზებში — კოლხიდა — სილვა, ისანი — გაბედულთა არენა, 26 კომისრების — სიყვარულის პოემა, დიდუბე — საიდუმლო ნიშანი.

საქართველოს ტურისტულ-საეკსკურსიო სამმართველოს თბილისის ტურისტული ბაზა

ა. წ. 8 ივნისიდან ქალაქის მოსახლეობისა და მგზავრებისათვის აწყობს ექსკურსიებს საქართველოს სამხედრო გზაზე.

თბილისი — ორჯონიკიძის საექსკურსიო საგზურის ღირებულება 43 მანეთი. საექსკურსიო საგზურების წინასწარი შეძენა შეიძლება თბილისის ტურისტული ბაზის დისპეტჩერთან დილის 10 საათიდან საღამოს 22 საათამდე.

მისამართი: სულხან-საბას ქ. № 11, ტელეფონი 3-58-41.

მოქალაქე **ევგენი ალექსანდრეს-ძე ლოტტინმა**, მცხოვრებმა მეორე მარტყოფის ჩიხი № 4, აღძრა საქმე მესამე ლამის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **ნინა ვასილის ასულ ბოიკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს განკარგულების თანახმად აუცილებელია, რომ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები მე-3 კურსიდან მუშაობდნენ ამ სპეციალობაზე, რომელზეც სწავლობენ.

რეგისტრაციის დროს, რომელიც ა. წ. 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე იწარმოებს, სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები მუშაობის შესახებ თანამდებობის ჩვენებით.

მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტები, რომლებიც არ იმუშავებენ სპეციალობაზე და ა. წ. 1 ოქტომბრამდე არ წარმოადგენენ ცნობას მუშაობის შესახებ, ინსტიტუტიდან გაირიცხებიან.

მეუღლე ანდრო, შვილები ილია, გრიგოლ, ვახტანგ, რძლები შურა, მარო, ლილი, შვილიშვილები თინა, ანდრო, თენგიზ, ჯაბული, დათო, კოტე წიკლაურები, დები ვარო რუსიშვილისა, სოფიო მეუღლით კოტე ლონიძით იუწყებიან **ნინო გრიგოლის ასულ წიკლაურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-VI, 8 ს. გამოსვენება 13-VI, 4 ს. კაფის ქ. № 50.

თამარ და ალექსანდრე ჯანელიძეები იუწყებიან ბიცოლას **ლუბა სიმონის ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას.

დ